დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. თამარ კეშელავა-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ნინო ზაუტაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ია სეხნიაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო მოლაშხია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. გოგი ლატარია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
6. ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
7. ნანა ნოზაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ნინო კოვზიაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
9. თამარ თავშავაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
10. ედუარდ ნაკაიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225389273

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბოლნისი
იურიდიული მისამართი	ქ.ბოლნისი დავით აღმაშენებლის ქ.N86
ფაქტობრივი მისამართი	ქ.ბოლნისი დავით აღმაშენებლის ქ.N86
საფოსტო ინდექსი	1100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1993?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%965%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bolnisi5@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	დაწესებულებას ტელეფონი არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 0 23 0000810038 03/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 31 ივლისი და 01 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანამანათლებლო	ქართული ენა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი

		საფეხური		ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ.N86

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 31 ივნისს და 01 აგვისტოს სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

გულნარა ხაბურზანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე (ადგილზე ვიზიტი);

წევრები:

1. *თამარ კეშელავა- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (ადგილზე ვიზიტი);*
2. *ნინო ზაუტაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი (ადგილზე ვიზიტი);*
3. *ია სეხნიაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
4. *ნინო მოლაშხია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
5. *გოგი ლატარია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
6. *ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
7. *ნანა ნოზაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
8. *ნინო კოვზიაშვილი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
9. *თამარ თავშავაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*
10. *ედუარდ ნაკაიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი (ონლაინ)*

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების

დათვალიერება განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ადგილზე მისვლით და გაესაუბრა კათედრის წევრებს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და ორიენტირებული არიან სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. სკოლა აქტიურად ცდილობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში აქტიურად იყოს ჩართული:

- სკოლა ჩართულია პროექტში ,,უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისათვის“, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ლიდერობით, ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან“ ერთად ახორციელებს. აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარება-შენარჩუნება რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისათვის;

- პროექტის ფარგლებში შეიქმნა სკოლაში იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია, რომელშიც მე-9/10/11 კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებული სურვილის მიხედვით. მისი მიზანი იყო მოსწავლეებში სამეწარმეო და კარიერული დაგეგმვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- პროექტის ფარგლებში გამოცხადდა სასკოლო ინიციატივების მცირე საგრანტო კონკურსი პარტნიორ საჯარო სკოლებისათვის. კონკურსი, რომელშიც სკოლამ წარადგინა პროექტი ,,სუფთა წყალი, ჯანმრთელი თაობა". საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საუკეთესო პროექტად დასახელდა და დაფინანსდა.

პროექტის მდგრადობის და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში გაგრძელდება კლუბური მუშაობა აღნიშნული თემების მიმართულებით.

- „საქპატენტისა" და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა „ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ" (EUGIPP). პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში" და მისი მიზანია კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში. პროექტი მოიცავს მასწავლებელთა მომზადებას დარგობრივი ცნებების სწავლების მიმართულებით, სკოლების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო მასალებით, მოსწავლეებში კრეტიულობისა და ინოვაციურობის გაღვივებას. სკოლამ სადამრიგებლო საათების ნაწილში საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩაშალა პროექტის ფარგლებში აქტივობები. ასევე 2023 წლის 23 აპრილს - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე მოეწყო სკოლაში კერძოდ, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;
- USAID-ის სამოქალაქო განათლების 5 წლიანი პროგრამის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო კლუბი, კლუბში გაწევრიანებული არიან საშუალო საფეხურის მოსწავლეები, კლუბის წევრები პედაგოგთან ერთად ახორციელებენ არაფორმალური განათლების მიმართულებით საინტერესო აქტივობებს, სკოლაში და სკოლის გარეთ.
- სკოლას ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსთან" (მე-8/9 კლასის მოსწავლეებისთვის), რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შეეძლოთ სკოლის ბაზაზე კულინარიის პრაქტიკული კურსის გავლა და დაუფლებოდნენ კულინარიის, მზარეულის უნარ-ჩვევებს;
- კლუბი ,,კარდუ" (საშუალო საფეხური), რომელიც იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის ფარგლებში შეიქმნა. კლუბში შეხვედრების დროს მოსწავლეებს მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ასევე ეცნობოდნენ კვლევებს და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და რა მოთხოვნაა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებზე;
- ,,ეკო-კლუბი", რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მდგრადი პოლიტიკის აუცილებლობის გააზრება.
- სკოლა პერიოდულად იწვევს სხვადასხვა პროფესიის მქონე მშობლებს, რომლებიც ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან თავიანთი პროფესიების შესახებ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☒ შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*დაწესებულებამ მიიღო რჩევა, რომ თანამდებობრივი აღწერილობის დოკუმენტში გაიწეროს საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. რამდენადაც ვიზიტის პერიოდში საქმისმწარმოებელს შეთავსებული ჰქონდა საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, შრომით ხელშეკრულებაში აისახოს აღნიშნული პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობებიც.*
ინდიკატორი 3.1.2.1.	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*შინაგანაწესის მესამე მუხლის თანახმად დასაქმებულთა სამუშაო დროის ყოველდღიური აღრიცხვა წარმოებს ჟურნალის ან <u>ტექნიკური საშუალებების</u> გამოყენებით. სკოლას არ აქვს მსგავსი დანიშნულების მქონე ტექნიკური საშუალება, შესაბამისად სასურველია დაკორექტირდეს აღნიშნული პუნქტი (მუხლი 3.). რამდენადაც დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა წარმოებს მხოლოდ <u>მატერიალური ჟურნალის გამოყენებით.</u>*
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

ინდიკატორი 3.4.1.6.	*სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;*	*სასურველია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში“ მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.*
ინდიკატორი 3.5.1.5.	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	*ერთ სივრცეშია მოთავსებული წიგნსაცავი და საკმაოდ პატარა სამკითხველო სივრცე. სასურველია ეს* ***სივრცეები იყოს გამიჯნული ან მოიძებნოს ალტერნატიული სივრცე,*** *სადაც შესაძლებელი იქნება სამკითხველო სივრცის მოწყობა.*
ინდიკატორი 3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ვხვდებით საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეულ მექანიზმებს, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს* ***საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს.***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.5	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;*	*სასურველია სკოლამ შექმნას ერთიანი დოკუმენტი* ***დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ,*** *რომელიც ითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე უნდა იყოს გაწერილი პასუხისმგებელი პირები, ვადები, რესურსები და სასურველია, დაგეგმილი აქტივობები დაანონსებული იყოს სოციალური გვერდისა და ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2.	*დაწყებითი საფეხური-მათემატიკა*	*V-VI კლასის კურიკულუმებში სასურველია ჩანდეს რომელი ავტორის წიგნით ხელმძღვანელობენ და რესურსებიის ველში შეტანილ იქნას სახელმძღვანელოს დასახელება.* *სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის სასურველია ელექტრონული რესურსების დამატებაც.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*მათემატიკა (საბაზო/საშუალო)*	*დაემატოს ფუნქციის გრაფიკების და გეომეტრიული ნაწილის სწავლისას Geogebra-ს და სხვა პლატფორმის რესურსები*

ინდიკატორი 2.1.2.3	*სამივე საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი*	*სასურველია წინასწარ შემუშაონ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ*
ინდიკატორი 2.1.2.4	*მათემატიკა (დაწყებითი/საბაზო/საშუალო)*	*სასურველია დაამატონ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მათი რაოდენობა ემთხვეოდეს გასავლელი თემების რაოდენობას.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*ხელოვნება (დაწყებითი/საბაზო)*	*1-6 კლასების კურიკულუმებში სამიზნე ცნებები ყოველ თემაში უნდა დაინომროს თავიდან (არ უნდა გაგრძელდეს ნუმერაცია წინა თემებიდან);* *1-6 კლასების კურიკულუმებში თითოეულ თემატურ ბლოკში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება;* *მე-3 კლასის კურიკულუმის მე-5 თემის რესურსებში საკვანძო შეკითხვა ამოსაღებია;* *მე-7 კლასის კურიკულუმი - თემის და საკითხის ფორმულირება უნდა იყოს უფრო მკაფიო. მაგალითად ასე: „ხელოვნებაში ასახული სხვადახვა ეპოქის რწმენა-წარმოდგენები".* *მე-8 კლასის კურიკულუმი - პირველ და მესამე თემებში ძირითადი საკითხები უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული;* *მე-9 კლასის კურიკულუმი - პირველი და მეხუთე თემების ძირითადი საკითხები უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, მაგ. „ქართული ხელოვნება და მისი სახასიათო ნიშნები".*
ინდიკატორი 2.1.2.2	*მუსიკა (დაწყებითი/საბაზო)*	*1-4 კლასები - სასწავლო წლის დაწყებამდე მიუთითეთ თქვენ მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა და წიგნის გვერდები.* *1-4 კლასები - კურიკულუმებში დასამატებელია მესამე სავალდებულო თემები, საკითხები და რესურსები:* *1-ელ კლასში - მესამე სავალდებულო თემა - „თამაშები მუსიკაში".* *მე-2 კლასში - მეორე სავალდებულო თემა - "ზუნების მოვლენები მუსიკაში"* *მე-3 კლასში -დასამატებელია მესამე თემა - "ჩემი ცხოვრების ერთი დღე".* *მე-4 კლასში - მე-2 სავალდებულო თემა „მუსიკა და თავისუფალი დრო".* *1-9 კლასები - თუ რომელიმე თემაზე არ ახორციელებთ კომპლექსურ დავალებას, ძირითადი რესურსს მაგალითისა და მაგალითები*

		შედარებისთვის მითითება საჭირო არ არის. *მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში დასამატებელია მეოთხე სავალდებულო თემები, საკითხები და რესურსები:* *მე-5 კლასში - მე-4 თემა მუსიკა დრამატულ და პანტომიმის თეატრში;* *მე-6 კლასში - პირველი თემა - რეალობა და ჩვენი წარმოდგენები;* *1 კლასის პირველ თემაში ქცევნება ჰარმონია არ მუშავდება;* *მე-8 კლასის კურიკულუმის მესამე თემაში ძირითადი კონტექსტ მაგალითი და მაგალითი შედარებისთვის მხოლოდ მესამე საკითხთან უნდა მიუთითოთ.*
ინდიკატორი 2.1.2.3	*ხელოვნება,მუსიკა*	*დასამატებელია სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრა. კერძოდ:

- ინდიკატორი 1.2.1.1; 1.2.2.1. და 1.2.2.2. – ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც **,,შესაბამისი“;**

- ინდიკატორი 1.2.1.2-ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა, რის გამოც ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც **„შესაბამისი“;**
- ინდიკატორი 1.2.1.4-ვიზიტის პერიოდში 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები არ არის გაზომვადი, რადგანაც არ არის მოცემული აქტივობების შესრულების ინდიკატორები და მათი განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები. არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის(დამტკიცებული) საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც **„შესაბამისი“;**
- ინდიკატორები -3.1.2.3.-ვიზიტის პერიოდში პერსონალის პირადი საქმეებში (3 თანამშრომლის) არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა აღნიშნული ცნობები, რის გამოც ინდიკატორი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც **„შესაბამისი“;**
- ინდიკატორები-3.1.2.3.-ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა პერსონალისთვის (პედაგოგების გარდა) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება N2 – 120 ,,სსიპ - ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლაში თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირობები“, რომელშიც დეკლარირებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც **„შესაბამისი“;**
- ინდიკატორები-3.4.1.1.-ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა: ა)დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე; ბ) საგანგებო მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან; გ)საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად სამედიცინო კაბინეტში არ იყო გამყოფი შირმა პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად.

  არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა:
  - ✓ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა(N006672023), რომლის თანხმად შენობა ვარგისია ექსლუატაციისთვის;
  - ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა;
  - ✓ პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად შეძენილი შირმის 22.08.2023 წლის მიღება-ჩაბარების აქტი.

  აქედან გამომდინარე ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც **,,შესაბამისი“;**
- ინდიკატორები-3.6.3.5.-ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას სკოლის ვებ-გვერდზე არ ჰქონდა ატვირთული სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის წარდგენის დროს დაწესებულების მიერ ვებგვერდზე სრულად იქნა ატვირთული ყველა ინფორმაცია, რაც გათვალისწინებული იყო აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც **,,შესაბამისი“;**
- ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევებიდან დაწესებულებამ შეიმუშავა ერთიანი დოკუმენტი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ,

რომელიც მოიცავს სკოლის მოსწავლეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს, მოსწავლეთა მატერიალური-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმებს, მოსწავლეთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს და ასევე მოსწავლეთა უკუკავშირის მექანიზმებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. გამოკვეთილია სკოლისთვის პრიორიტეტული მიმართულებები (გაციფრულება და არაფორმალური განათლების მიმართულება). სკოლისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს თანამშრომლობითი კულტურა, პროფესიული ზრდა და განვითარება, გუნდურობა. სკოლა ცდილობს დანერგოს სწავლის მამოტივირებელი ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს წარსული გამოცდილება. აფასებს ინიციატივას და ზრუნავს მის მუდმივ გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი სასკოლო თემის პრიორიტეტები, ღირებულებები, გამოწვევები და

მოახდინოს მათი ასახვა მისიაში. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რისთვისაც სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრისთვის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე. **ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლას გაცნობიერებული და გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. ამ მიზნით სკოლამ სხვადასხვა აქტივობას მიმართა. კერძოდ: 2023წლის 24 აპრილს (ბრძანება N2-19) დაწესებულებაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის სარევიზიო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სკოლის ფილოსოფიის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში საჭირო აქტივობების განხორციელება. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ, დირექტორი, სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები, ასევე თვითმმართველობის წევრები. სკოლის ფილოსოფიის განახლების პროცესში მშობელთა ჩართვის მიზნით დაწესებულების მიერ გამოყენებულ იქნა კითხვარები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს დახვეწოს საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის სამოქმედო გეგმა შესაბამისი აქტივობებით, კონკრეტული ვადების მითითებით. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ფოკუს ჯგუფების შექმნას, შესაბამისი კითხვარის ფორმების დარიგებას, ღია კარის დღის ორგანიზებას და სხვ. რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ინტერვიუს პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჯაროობის უზრუნველსაყოფად სკოლის განახლებული მისია და ხედვა განთავსდება დერეფანში, დაიბეჭდება ბუკლეტების სახით, გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში. ამასთანავე დაწესებულება გეგმავს შეიმუშაოს გაზიარების ისეთი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არაქართულენოვან მოსწავლეთა მშობლებისთვისაც ინფორმაციის გაზიარება და შესაბამისი უკუკავშირის მიღება. აღსანიშნავია ისიც, სკოლის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, ასეთ პროცესში ჩართულობისთვის მზადყოფნას თავად მშობლებიც გამოთქვამენ, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას. **ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას როგორც განაცხადეს, სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ნაკლებად იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განახლებული სკოლიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სოციალურ ქსელში განთავსებას დახურულ ჯგუფებში და სკოლის ვებგვერდზე. გეგმავენ ბანერის დამზადებას, რომელიც განთავსდება

სკოლის ფოიეში. შესაბამისად დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელი იქნება მიიღონ ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. **ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საჯარო რეესტრიდან 2023 წლის 14 ივლისის ამონაწერით, სკოლის სახელწოდება-სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023წლის 24 აპრილის ბრძანება N2-19 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის, რევიზიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- 2023 წლის 14 ივლისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882023698805).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ წარმოადგინა „სსიპ-ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია" (პროექტი), რომელიც მიზნად ისახავს სკოლის სტრატეგიული და მიმდინარე სამოქმედო გეგმების შექმნისა და განვითარების პროცესის მართებულად წარმართვას. დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხილვების, დამტკიცების, გადახედვის და შეფასების წესი. ასევე, სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმები, ყოველი ეტაპისთვის განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, მაგრამ დაწესებულებამ **შესაბამისობის გეგმასთან არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს დამკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-96), შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.1.დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა და ასევე სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის დირექციის განმარტებით, მოხდებოდა შვიდწლიანი გეგმის პროექტის დახვეწა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო რჩევა სტრატეგიულ გეგმაში აქტივობების განხორციელების ვადების გაწერის შესახებ.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს. სკოლის სტრატეგიული მიზნებია: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, სკოლის ინფრასტრუქტურისა და საგანამანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დაწყებულია, მაგრამ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოდგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, ინდიკატორი თავდაპირველად არ იყოს შესაბამისობაში.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისასაც დადგინდა, სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება იყენებს სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშებსა და შეფასებებს; ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის - SWOT ანალიზს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის მიხედვით დაგეგმილია სკოლისთვის პრიორიტეტული ამოცანების მისაღწევი აქტივობები. **ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და ვადები, თუმცა, არ იყო განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სამოქმედო გეგმის პროექტიც, რომელშიც მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები, ინდიკატორები, ვადები, განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირები, საჭირო რესურსები და ამ ამოცანების განხორციელების მონიტორინგის ვადები. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ დაწებულების მიერ წარდმოგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების შედეგების ინდიკატორები და მათი განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები, ინდიკატორი თავდაპირველად არ იყო დაკმაყოფილებული.

თუმცა, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოდგინა დამტკიცებული 2023-2024წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-96);
- SWOT ანალიზი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023წლის 24 აპრილის ბრძანება N2-19 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის, რევიზიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ".

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მასში გაწერილია, ვის მიერ, როგორი პერიოდულობით, რომელი ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს სკოლის

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დაწესებულის მიერ იყო დამტკიცებული, ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული.

თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის სახით შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-96), შესაბამისად ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის(პროექტი) დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას გათავისებული აქვს სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს - სკოლის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, როგორ შეიძლება მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში. სკოლა მონიტორინგის მიზნით გეგმავს განიხილოს რამდენად მკაფიოდაა გაწერილი მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და ასახულია ის სამოქმედო გეგმაში; რამდენად შეესაბამება დაგეგმილი აქტივობები და შერჩეული რესურსები მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტის მიხედვით, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო. განხილვების შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების, დასკვნების გათვალისწინება მოხდება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული განხილვის შედეგად ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტში შეტანილ იქნას ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი და უთანხმებს პედაგოგიურ საბჭოს. ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს საკონსულტაციო განხილვები სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან და მოამზადოს შეფასების ანგარიში. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რის გამოც ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული.

თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის სახით შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-96), ამასთანავე, აღნიშნული კომპონენტი პირველადი ავტორიზაციის პირობებში ვერ შეფასდება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტის მიხედვით სკოლა განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ ორიენტირად ასახელებს სკოლის საქმიანობის გამჭირვალობას, მაგრამ დოკუმენტში მკაფიოდ არ არის მოცემული რა გზებით გაზიარდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. თუმცა სკოლის დირექტორის

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს სკოლის ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია ან მოკლე რეპორტი განათავსონ თვალსაჩინო ადგილას, სკოლის დერეფანში, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ მისი გაცნობა. მიზანშეწონილია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფრო კონკრეტულად გაიწეროს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარების მექანიზმ(ებ)ი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება. **ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტის თანახმად, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას მოამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო. განხილვების შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების, დასკვნების გათვალისწინება მოხდება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგების რეფლექსია და მათი ასახვა სკოლის განვითარების ხედვაში. პროცესები აღწერილია ციკლურად, რაც ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება. **ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

აღნიშნული დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- 2023-2030წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- 2023-20230წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 31 აგვისტოს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N2-96);
- SWOT ანალიზი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023წლის 24 აპრილის ბრძანება N2-19 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის, რევიზიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა;

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლა ფუნქციონირებს 2005 წლის 15 სექტემბერის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანების საფუძველზე. წესდების შესაბამისად მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიურ საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. დამტკიცებულია ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5

საჯარო სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნცქიები“, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები.

სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის საშტატო განრიგის საფუძველზე დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დამლაგებელი(4), დარაჯი(2), ცეცხლფარეში(2), სპეც. მასწავლებელი(2), სსსმ პირის ასისტენტი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები.

ვიზიტის პერიოდში (31.07.-01.08.2023) საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა საქმისმწარმოებელს. თუმცა თანამდებობრივ აღწერილობაში არ იყო განსაზღვრული საინფორმაციო მენეჯერის სამუშაო აღწერილობა. ამასათანავე არც საქმისმწარმოებლის ხელშეკრულებაში არ იყო გაწერილი საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო რჩევა, რომ სამუშაო აღწერილობაში გაიწეროს საინფორმაციო მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები და საქმისმწარმოებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში აისახოს აღნიშნული პოზიციის შესაბამისი ფუქნცია-მოვალეობების შეთავსება.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენის კათედრა, მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა, უცხოური ენების კათედრა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილ იყო სხვადასხვა კათედრის ოქმები.

პედაგოგიური პერსონალი შედგება 38 მასწავლებლისაგან. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება მოსწავლეთა შედეგების განხილვა კათედრის სხდომებზე.

სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ორგანიზებას, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავებას, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები. ამ პროცესებს სხვადასხვა ეტაპზე ეყოლება შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- კათედრების ოქმები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიას, სამუშაო აღწერილობას, კონკურსის ჩატარების პირობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის/ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისა და ახალ გარემოში ადაპტაციის მექანიზმები, რაც დადასტურდა პერსონალთან გასაუბრებითაც. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი. შინაგანაწესის მესამე მუხლის თანახმად დასაქმებულთა სამუშაო დროის ყოველდღიური არღიცხვა წარმოებს ჟურნალის ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს მსგავსი დანიშნულების მქონე ტექნიკური საშუალება, რის გამოც დაწესებულებამ ექპერტთა მიერ მიიღო რჩევა, დაკორექტირდეს აღნიშნული პუნქტი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ეს ტექნიკური შეცდომა იყო და გაითვალისწინებენ ამ რჩევას, რამდენადაც დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა წარმოებს მხოლოდ მატერიალური ჟურნალის გამოყენებით.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

სკოლის შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და კონკრეტულ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესის გაცნობა იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მასწავლებელთა შიდა შეფასების განხორციელება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; ასევე, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება და შეფასება; მასწავლებლისთვის განმავითარებელი შეფასების მიცემა მის მიერ

ჩატარებულ გაკვეთილზე და ა.შ. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიული საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). შესაბამისი აქტივობები გათვალისწინებულია სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც. პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს შეუწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება ჩანაცვლება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით ან სხვა პედაგოგის მიერ. აღნიშნული დასტურდება სკოლაში წარმოებული ჟურნალის მიხედვითაც, სადაც ხდება ჩამნაცვლებელი მასწავლებლის აღრიცხვა. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლას შემუშავებული ჰქონდა ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები და პირობები, განსაზღვრულია მასწავლებლის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე.

ვიზიტის პერიოდში(31.07.- 01.08.2023წ.) ექსპერტთა მიერ გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. მათ შორის 3 თანამშრომელს არ ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, კერძოდ, ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თანამშრომლებს უკვე გაკეთებული ჰქონდათ განცხადი ამ ცნობის აღების თაობაზე და წარმოადგინეს მტკიცებულება(განაცხადის ფოტო). **შესაბამისობის გეგმასთან ერთად არგუმენტირებული პოზიციის სახით, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ცნობები, შესაბამისად ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც განთავსებული იყო მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. თანამშრომელთა პირად საქმეში ინახებოდა ყველა ის დოკუმენტი, რასაც სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი ითვალისწინებდა.

შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი. აქედან 1 მაძიებელია, 30 უფროსი, 4 წამყვანი, 1 მენტორი, ასევე 2 სპეციალური მასწავლებელი და 1ასისტენტი.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დეტალურად არის აღწერილი პედაგოგის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა, ამავე დოკუმენტის მუხლი 17-ით განსაზღვრული განმარტება (,,პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს") პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებაში არის ზოგადი. მნიშვნელოვანია საკვალიფიკაციო მოთხოვნები მხოლოდ პედაგოგებისთვის არ იყოს დაწესებულების მიერ განსაზღვრული. სკოლას არ ჰქონდა გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის გამოც აღნიშნული ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. აუცილებელია, კანონმდებლობის შესაბამისად დაკონკრეტდეს პერსონალის (მაგ: საქმისმწარმოებელის, დარაჯის, დამლაგებლის და სხვა) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება N2 – 120 ,,სსიპ - ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლაში თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირობები", რომელშიც დეკლარირებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და კონკრეტული გამოწვევების დაძლევის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით სკოლი სოციალურ გვერდზე. **ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. შინაგანაწესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-19 და 21-ე მუხლები არეგულირებენ სკოლაში წახალისების და აღიარების პროცესებს. ამ მიზნით სკოლაში

აქტიურად მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებებს და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს.

USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში მონაწილე ლიდერი მასწავლებელების მიერ სკოლაში შეიქმნა მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ზრუნავენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარებაზე. მაგ: ქართული ენისა და ლიტერატურის ლიდერმა მასწავლებელმა სამუშაო შეხვედრა ჩაატარა თემაზე ,,კითხვის გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები და მათი დაძლევის ხელშესაწყობად შემოთავაზებული აქტივობები, რესურსები, მეთოდები“. ასევე მათემატიკის წამყვანმა პედაგოგმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა თემაზე ,,განმავითარებელი შეფასება სოლო ტაქსონომიის მიხედვით“.

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დასტურდება შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების წესის არსებობა სკოლაში; პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. **ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-76 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საქმისწარმოების წესი;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;

- ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;
- კონკურსის ჩატარების ოქმები;
- პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები, კერძოდ: ა)ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ბ) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულება. დებულებით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების გარდა, მოიცავს საგნობრივი სასწავლო თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებელის რეფლექსიის შეფასებას. დებულების თანახმად მასწავლებელი იღებს შესაბამის უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმების დახვეწას. **ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. სკოლაში პროფესიული განვითარების აქტივობები განხორციელდება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით. მაგ: სკოლა ჩართული იყო საქართველოს ადმინისტრატორთა ასოციაციის პროექტში ,,სკოლის მენეჯმენტის გაძლიერება საქართველოში". როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ამ პროექტში ჩართულობამ ხელი შეუწყო შუა რგოლის გაძლიერებას, კათედრებს შორის თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახა სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის მიერ შემუშავებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" ერთ-ერთი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმის პროექტში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ: შეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალებების თემატიკა, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს სხვა პერსონალსაც პროფესიულ განვითარებაში. მაგ: ბუღალტერმა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების გამო, გაიარა სასერტიფიკატო კურსი. პერსონალის პირად საქმეში ინახება სერტიფიკატებიც. **ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლას შემუშავებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციისა და სოციალიზაციის წესი", სადაც გაწერილია ადაპტაციისა და სოციალიზაციის აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდი.

ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს გააცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშრომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი და ხელისმოწერით ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს, რომელიც ასევე გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლა, ადაპტაციისა და სოციალიზაციის არსებული წესით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. აღნიშნული დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებისას. სკოლას ჰყავს მაძიებელი, რომელიც ამავდროულად არის ამავე სკოლის კურსდამთავრებული. როგორც მან აღნიშნა, პროფესიაში პირველი ნაბიჯების გადადგმა სკოლაში მოხდა თავად სკოლის მიერ გაწერილი გარკვეული გეგმის მიხედვით ეტაპობრივად და ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ასევე კათედრის წევრების მხრიდან. დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით, რაც მოიცავს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. ამასთანავე ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის მუხლი 21-ით გათვალისწინებულია თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები. თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-76 ,,სსიპ ქალაქ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შინაგანაწესი;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც არეგულირებს სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დირექტორის ბრძანებით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მიზანია მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც ცხადია გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე.

სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მომავალი წლიდან ორიენტირებული იქნებიან სასკოლო საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრებაში. დაწესებულების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით formes მეშვეობით სკოლა იღებს უკუკავშირს მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ უფრო აქტიურად გეგმავენ სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიმართულებით.

სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავება, მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე, პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტში: სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, შინაგანაწესი, კათედრის დებულება აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოები, დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო ძირითადად მმართველობით ფუნქციას ასრულებს, შრომით ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სტრუქტურაში და დებულებებში მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების

გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი" და სხვა. **ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის შინაგანაწესით, წესდებით (მესამე თავი) განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით. განსაზღვრულია საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის წესი. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ, რაც დასტურდება დამრიგებლის წლიურ ანგარიშებშიც. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს, ხოლო დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. სკოლის წესდების მიხედვით განსაზღვრულია პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. ასევე სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი აღწერს გასაჩივრების მექანიზმს და პროცედურებს. **ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, წესდება, სადამრიგებლო პროგრამა და სხვ.) ასევე ვხვდებით მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ასევე დამრიგებელი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს მშობელთა კრებაზე. **ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-47 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება N2-28 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ".

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-67 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;
- ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კითხვარები;
- დამრიგებლის წლიური ანგარიში;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინდიკატორი 1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც შექმნილია დახურული ჯგუფები. გარდა ამისა, მშობელთან ურთიერთობის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობელს აქტიურად მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური შედეგების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება ასევე მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით, რომლის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისშივე აქვთ მშობლებს ინფორმაცია. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მათ შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში არის საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრისას დადგინდა, სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის და მათ მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობას: სკოლის შინაგანაწესი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ქცევის წესები, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაცია და სხვ.

სკოლას აქვს ვებგვერდი, მაგრამ ვიზიტის პერიოდში ფუნქციურად არ იყო დატვირთული. თუმცა, ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უკუკავშირის მექანიზმის გაუმჯობესებას, რაც დაწესებულებას დაეხმარება დაადგინოს კონკრეტული საჭიროებები და სკოლის თემის მოლოდინები. **ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში და უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება N2-28 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ“.
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- დამრიგებლის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- თვითმმართველობის დებულება;
- სოციალური ვებგვერდი;
- საინფორმაციო დაფა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური(2 მანდატური);
- სკოლის პერიმეტრი შემოღობილია. ტერიტორიაზე დაცულია უცხო პირთა გადადგილება, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის 2 დარაჯი. დაწესებულებაში შემოსული პირების აღრიცხვა ხორციელდება სკოლის ვიზიტორთა ჟურნალში, კონტროლდება გაკვეთილის დროს მოსწავლეთა უნებართვოდ გასვლა სკოლის შენობიდან;

- სკოლის ფოიესა და კიბის უჯრედებზე დამონტაჟებულია 13 ერთეული ვიდეო კამერა (დამონტაჟებული ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს); სპორტული დარბაზიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედში არ არის ვიდეო კამერა და როგორც სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, მანდატური და მორიგე მასწავლებელი უწევს მონიტორინგს აღნიშნულ ადგილს, რითაც იქმნება მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო;
- ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - მანდატური;
- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორით; სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმა და შესაბამისი ავარიული განათებები;
- 2021 წლის 15 აპრილს სსიპ ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის ინსპექტორებმა განახორციელეს სკოლის სახანძრო ტექნიკური შემოწმება. სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილია მიწერილობა (MIA 6 21 009776231, 19.04.2021წ), რომელშიც მითითებულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევები და მათი აღმოფხვრის ვადები. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციების უმეტესობა. თუმცა ვიზიტის დროს შენობაში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები(ცეცხლმაქრები) გადასამუხტი იყო. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის 12 ივლისს განხორციელებული სახანძრო ტექნიკური შემოწმების აქტი #146 (წერილი MIA 323 02061158, 17.07.2023წ).
- ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაზეც ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო რჩევა;
- სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსდება პირველადი მოხმარების მედიკამენტები, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მედიკამენტები და სამედიცინო კაბინეტში არ იყო პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა. ექთანმა წარმოადგინა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი(თუმცა არ იყო შევსებული).
- სკოლას ჰყავდა ერთი ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, სკოლის მის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობაზე (600 მოსწავლე)

რეკომენდებულია ერთი ექიმი და ერთი ექთანი. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება 2 ცვლაში, შეგვიძლია ვთვქათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათავის პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის სრულად განხორციელებას.

- სკოლას არა აქვს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, თუმცა წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად(21.07.2023).
- სკოლას არ ჰქონდა საგანგებო მართვის გეგმა, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტი. 2023 წლის 01 აგვისტოს გაიგზავნა შეთანხმების წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

ვიზიტის პერიოდში არსებული მექანიზმებით სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რამდენადაც სკოლას <u>არ ჰქონდა საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე და სამედიცინო კაბინეტში პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა.</u> აღნიშნული ხარვეზების გამო ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში.

თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად წარმოადგინა:

- ✓ **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა(N006672023), რომლის თანხმად შენობა ვარგისია ექსლუატაციისთვის;**
- ✓ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა;**
- ✓ **პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად შეძენილი შირმის 22.08.2023 წლის მიღება-ჩაბარების აქტი.**

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. სკოლის მიერ შემუშავებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ განსაზღვრვას სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოების და დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სკოლის ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და დარაჯი უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სამასწავლებლოში საინფორმაცო დაფაზე გამოკრულია პერსონალის მორიგეობის განრიგი ორივე ცვლაში, რაც დამატებითი რესურსია სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში. **ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგით მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას. **ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. **ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრულია: მონაცემთა დამუშავების პრინციპები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და მექანიზმი. ასევე გათვალისწინებულია ვიდეთვალთვალის განხორციელების მექანიზმი; მონაცემთა დამუშავება სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მექანიზმები, მონაცემთა უსაფრთხოება და ასევე მშობლის/კანონიერი წამომადგენლის უფლებები. პერსონალურ მონაცემებზე ელექტრონულ სისტემაში სკოლის მონაცემთა ბაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

საინფორმაციო მენეჯერის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. თუმცა, სკოლამ მიიღო რჩევა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება იზოლირებულ სივრცეში კარადებში, რომლებიც იკეტება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა ასევე, რომ მოსწავლის გამოსახულებით ფოტო/ვიდეო მასალას სკოლა არ ასაჯაროებს მოსწავლისა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე. კონფერენციების პრეზენტაციებში გამოყენებულ და

სოციალურ ქსელში განთავსებულ ფოტო/ვიდეო მასალაზე სკოლას შემუშავებული აქვს მშობლების წერილობითი ნებართვის ფორმა, რომელზეც მშობელი პირობების გაცნობის შედეგად ხელის მოწერით ადასტურებს თანხმობას. **ინდიკატორი 3.4.1.6.დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ როცა აღმოაჩინეს მზარდი დინამიკა მოსწავლეთა მიერ ბოლო გაკვეთილის გაცდენის თაობაზე, სკოლამ მიიღო შესაბამისი ზომები გაცდენების აღმოსაფხვრელად. კერძოდ: დამრიგებლის ინფორმირების გარეშე და მის მიერ სპეციალურად გაცემული საშვის გარეშე, მოსწავლე სკოლას ვერ დატოვებდა. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარდა პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები როგორც მანდატურების, ასევე დამრიგებლების მიერ. ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები ძალადობის, ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ. **ინდიკატორი 3.4.1.7.დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის N2-80 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5საჯარო სკოლის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-72 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-73 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- 2021 წლის 15 აპრილის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N169;
- 2023 წლის 12 ივლისის სახანძრო უსაფრთხოების ზედამახედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N146;
- შენობის უსაფრთხოების შემოწმების მიზნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაკეთებული განცხადება (21/07/2023 დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი 1005801623);
- სსიპ ქალაქ ბოლნისის საჯარო სკოლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი 2023 წლის 01 აგვისტოს შეთანხმების წერილი;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი (MIA 52302245697) სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- შინაგანაწესი;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის ფორმა მოსწავლის ფოტო/ვიდეო მასალის გასაჯაროვების შესახებ;
- სახანძრო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, ქალაქ ბოლნისში დ.აღმაშენებლის N86-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსართულიანი შენობა-ნაგებობების ფართია 1080,47კვ.მ., ეზოში არსებული სპორტული დარბაზის ნაგებობის საერთო ფართი-147,24კვ.მ (დარბაზის ფართი-134,51კვ.მ). სკოლის ეზოში იზოლირებულად მდგომი საქვაბის ფართია-22,72კვ.მ. მიწის დაზუსტებული ფართი 5255კვ.მ.

სკოლაში სულ 13 საკლასო ოთახია. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 542 მოსწავლე. ამ ეტაპისთვის პირველი ცვლა უზრუნველყოფს 267 მოსწავლის მომსახურეობას, რაც 13 კლასს მოიცავს, ხოლო მეორე ცვლაში სკოლა ემსახურება 275 მოსწავლეს, რაც მოიცავს 11 კლასს. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ეზოში ღია მოედანი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ოთახი მანდატურის სამსახურისათვის, ბიჭების/გოგონების, პერსონალის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი ადაპტირებული წერტილები. სკოლას აქვს ეზო, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეკრება და სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით. სკოლის ბალანსზეა - 390 მერხი. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. ყველა საკლასო ოთახი არის ნათელი და კეთილმოწყობილი. ვიზიტის პერიოდში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა ერთ-ერთ საკლასო ოთახში(პირველ სართულზე), სადაც ახალი სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს საქართველოს ბანკის პროექტის ფარგლებში „იდეათეკა“ - უნიკალური

საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას ერთდროულად იძლევა, რაც ტექნოლოგიების ათვისებითა და დახმარებით მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ძალიან სწრაფად ცვალებად დროში იპოვონ საკუთარი ადგილი, საკუთარი იდეა.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისთვისაც. დარბაზი გაცემულია იჯარით საწრეო მუშაობისთვის(ცეკვის წრისთვის). **ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის **პირველ სართულზე** განთავსებულია 4 საკლასო ოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის მოადგილის ოთახი, არქივი, ბიჭების/გოგონების, პერსონალის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები, საქმისმწარმოებლის ოთახი და ოთახი მანდატურისთვის. პირველივე სართულზე იგეგმება ,,იდეათეკის“ ოთახის ფუნქციონირება. მეორე სართულზე განთავსებულია 9 საკლასო ოთახი, დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო.

სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობის ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს შეუძლია სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით ისარგებლოს. შენობის პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, ახალი სასწავლო წლიდან ,,იდეათეკის“ ოთახი. მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსები არ არის გათვალისწინებული. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამჟამად სკოლაში არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოხდება პირველ სართულზე იმ კლასის განთავსება, რომელშიც იქნება ასეთი მოსწავლე, რითაც სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს. სპორტული დარბაზი, რომელიც დგას ეზოში განცალკევებით, ადაპტირებულია. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ახალი სასწავლო წლიდან ,,იდეათეკის“ ოთახი-დამატებითი საგანმანათლებლო სივრცე ღია და თავისუფალი იდეებისთვის, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები:

კომპიუტერების ლაბორატორიაში განთავსებულია 17 ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი, პრინტერი. სკოლას სულ აქვს 46 კომპიუტერი და ლეპტოპი. საკლასო ოთახების დიდ ნაწილში არის კომპიუტერები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სკოლის პერსონალური ლეპტოპებით. კომპიუტერები არის ასევე სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი საგნების მიხედვით, კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით და სკამებით. ლაბორატორიაში არის გამწოვი მოწყობილობა, ხელსაბანი მოწყობილობა და უზრუნველყოფილია თბილი და ცივი წყლით. ლაბორატორიაში ასევე განთავსებულია კომპიუტერი და პროექტორი, რომელთაც ინტენსიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ქიმიური პრეპარატებისთვის გამოყოფილია დაკეტილი საცავი. ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების წესები, აღჭურვილია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სპეც. ხალათებით, სათვალეებით და ხელთათმანებით. ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული მუშაობის და უსაფრთხოების წესები, ასევე კვლევითი სამუშაოების შეფასების რუბრიკები. ლაბორატორიაში ასევე განთავსებულია სამუშაო პროცესში შექმნილი მოდელები, პლაკატები. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა STEM პროექტის „ჭკვიანი მრიცხველის“ მაკეტი, რომელიც სკოლას წარდგენილი ჰქონდა STEM პროექტების გამოფენაზე. ლაბორატორია მდებარეობს პირველ სართულზე და იძლევა სსსმ მოსწავლეებისათვის გადაადგილების შესაძლებლობას. ლაბორატორია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვისაც გარკვეული წესების დაცვით. ლაბორატორიას ასევე აქტიურად სტუმრობენ STEM პროექტებში ჩართული მოსწავლეები. ასევე - „ნორჩ ქიმიკოსთა წრის წევრები“.

სკოლას აქვს **ბიბლიოთეკა,** შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის 749 ერთეული მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე, 89 ერთეული მხატვრული ლეტერატურა გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მეთოდური ლიტერატურა 89 ერთეული და 14767 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში ასევე არის მასწავლებელის წიგნები და მეთოდური სახელმძღვანელოები 89 ერთეული. მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პერიოდიკით - ,,მასწავლებელი“, ,,ახალი განათლება“. ბიბლიოთეკაში სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. შექმნილია ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში ინახებოდა მკითხველთა ფორმულარები. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა).

ერთ სივრცეშია მოთავსებული წიგნსაცავი და საკმაოდ **პატარა სამკითხველო სივრცე,** რაც სასურველია იყოს გამიჯნული. ამიტომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მიიღო რჩევა სამკითხველო სივრცის გაუმჯობესების/გაფართოების თაობაზე. კერძოდ: სასურველია ეს სივრცეები იყოს გამიჯნული ან მოიძებნოს ალტერნატიული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება სამკითხველო სივრცის მოწყობა.

სპორტის გაკვეთილებისთვის სკოლას აქვს **სპორტული დარბაზი** (134,51კვ.მ), რომელიც სააქტო დარბაზის ფუნქციასაც ასრულებს. დარბაზთან არის ცალ-ცალკე გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სპორტული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია პატარა სათავსო, სადაც ინახება კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი. წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 14 ივლისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882023698805).
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვა იჯარის ფორმით ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ (13/09/2022 ; MES 7 22 0001067815);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესები;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმა". სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება. აღნიშნული გეგმის თანახმად, სკოლას ჰქონდა 46 კომპიუტერი, 7 პრინტერი, 6 პროექტორი, თუმცა გეგმავს დამატებით 10 პროექტორის შეძენას. სკოლაში საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მასწავლებლებისთვის საზიაროა სამასწავლებლოც. საკლასო ოთახების უმეტესობა აღჭურვილია კომპიუტერებით, თუმცა სადაც არ არის, მასწავლებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლის პერსონალური ლეპტოპით. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებული ტექნიკა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(office 365, Teams, Forms, OneDrive, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით სკოლის მისიაში დაემატა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება.

სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის.

ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ სჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით. **ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სკოლის ციფრული განვითარების გეგმის თანახმად ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. დაწესებულებას აქვს ,,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი". სკოლის ბუღალტერი პასუხისმგებელია ლეპტოპების აღრიცხვა-შენახვაზე. ის აღრიცხავს არსებულ ტექნიკას, ასევე ავსებს გატანა-შემოტანის აღრიცხვის ჟურნალს. აღნიშნულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი;
- კურიკულუმები;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა;

- მიღება-ჩაბარება N7-145 2023წ.
- ინვენტარიზაციის უწყისი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით და სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. **ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(e-School.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ვიზიტის პერიოდში სკოლას ვებგვერდი ჰქონდა, თუმცა **ფუნქციურად დატვირთული ჯერ არ იყო.** სკოლის წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ ვებგვერდი ახალი შექმნილი იყო და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით მარეგულირებელი დოკუმენტაციების, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შემდეგ, გეგმავენ ახალი სასწავლო წლისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის ატვირთვას, რაც სტანდარტით არის გათვალისწინებული.

სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა საკმაოდ აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას აქვს სოციალური ქსელი. სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. გარდა ამისა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერიუს დროს განაცხადეს, პედაგოგებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აწვდიან მათ ყველა საჭირო ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, როგორც ამას მშობელთან ურთიერთობის დებულება ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ვხვდებით საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეულ მექანიზმებს, დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა,** შექმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს. **ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-

სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს ვებ გვერდი. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას ჰქონდა ვებგვერდი. თუმცა, ვიზიტის პერიოდში არ შეიცავდა ინფორმაციას სკოლის მისიის, სამოქმედო გეგმის, სტრუქტურის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სკოლის წარმომადგენლებმა სრული მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, რაც არგუმენტირებული პოზიციის სახით დადასტურდა დაწესებულების შესაბამისობის გეგმის მიხედვით. შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლის ვებგვერდის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დასრულებულია. სკოლის ვებგვერდზე ატვირთულია ყველა ინფორმაცია, რაც აუცილებელია აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორი 2021 წლის 25 მარტის ბრძანება N 2-28 ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ”;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორი 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექთნის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართი) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს; სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში; ასევე, სკოლას აქვს ფოტო/ვიდეო გადაღებაზე და შემდგომ სოციალურ ქსელში გავრცელებაზე მშობლის თანხმობის ფორმა, რომელშიც მოსწავლის უფლება სრულად არის გათვალისწინებული, კერძოდ, მშობლის თანხმობის მიუხედავად, თუ მოსწავლე არ ეთანხმება მისი ფოტო/ვიდეო მასალის გასაჯაროვებას, უფლება აქვს მოითხოვოს შეზღუდვა. მშობელი ამ ნებართვის ფორმაში ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნულ ინფორმაციას.

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს, ხოლო დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. წესდების მიხედვით განსაზღვრულია პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები.

სკოლის შინაგანაწესით, წესდებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის, დისციპლინური კომიტეტის დებულებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. **ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების წესები, წახალისების და დისციპლინური დევნის რეგულაციები. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. ამასთანავე

სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისათვის მშობელთა კრებების, კლასის საათების ჩატარების პრაქტიკა და მზაობა აღნიშნული მიმართულებით იმუშაოს. **ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-67 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სოციალურ ქსელში ფოტო/ვიდეო მასალის გავრცელებაზე მშობლის თანხმობის ფორმა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების და მობილობით გადმოყვანის წესი", რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და მობილობის წესით მიღების პროცედურებს. რაც გათვალისწინებულია 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საინფორმაციო მენეჯერი), რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. **ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდკატორი 2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადები დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. სკოლის სპორტულ დარბაზში, რომელიც იჯარით არის გაცემული, ფუნქციონირებს ცეკვის ფასიანი წრე, დანარჩენ საკლუბო და საწრეო მუშაობას სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უფასოდ. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს

სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის ინფოამრაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები წინასწარ არიან ინფორმირებული მოსწავლეთათვის სკოლის ფორმის ტარების ვალდებულებაზე. აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებულია შინაგანაწესის 24-ე მუხლით. წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია გვერდის საინფორმაციო მენეჯერი. დამრიგებლების დახმარებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. ექსპერტთა მიერ სკოლის სოციალურ კედელზე ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-71 ბრძანება ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების და მობილობით გადმოყვანის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-67 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სადამრიგებლო პროგრამა.
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს არეგულირებს „სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციის ხელშეწყობას. ეს წესი გამოიყენება, როგორც პირველკლასელთა, ასევე მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების სასკოლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობისათვის. დოკუმენტში აღწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, განსაზღვრულია პირველკლასელთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეების, სსსმ მოსწავლეების ადაპატაციის ხელშემწყობი აქტივობები/ღონისძიებები და რეკომენდაციები, ასევე აღწერილია წარმატებული ადაპტაციის ინდიკატორები. კლასის დამრიგებელი ვალდებულია სწავლის დაწყებისას გააცნოს მოსწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო საზოგადოება, შინაგანაწესით განსაზღვრული წესები.

სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია თემები მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

როგორც სკოლის მიერ შემუშავებული ,,მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი" ითვალისწინებს, სკოლა სწავლის დაწყებიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეებს ადაპტირდნენ გარემოსთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ პირველკლასელ მოსწავლეებს და სხვა სკოლებიდან გადმოსულ მოსწავლეებს, რათა სწრაფად და უმტკივნეულოდ შეეგუონ სასწავლო გარემოს. ადაპტაციის პროცესში აქტიური ყურადღება ექცევა დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან. სკოლის დირექციის ორგანიზებით, სასწავლო წლის პირველ დღეს სასწავლო დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით, ეწყობა სკოლის ეზოში საზეიმო დახვედრა. ახალ მოსწავლეს დამრიგებელი აძლევს საშუალებას წარადგინოს თავი, აცნობს მას სკოლის ინფრასტრუქტურას. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლა ცდილობს მშობლისგან მიღებული ინფორმაცია მოსწავლის უნარების, ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ გამოიყენოს ადაპტაციის პროცესში ეფექტური აქტივობის დასაგეგმად. სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსოთახი, არაფორმალური ინტელექტუალური, სპორტული და სახელოვნებო აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ორი სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

საგნის მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ითვალისწინებენ მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. კლასის დამრიგებლების ვალდებულებაა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ.

როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს მოსწავლეთა რემედიაციული პროცესების გაგრძელებას დაწყებით/საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და მათემატიკაში. ეს საგნები შერჩეულ იქნა სასკოლო თემის შემადგენლობის გათვალისწინებით, რამდენადაც ყოველწლიურად იზრდება არაქართულენოვანი მოსწავლეების რიცხვი სკოლაში. აღნიშნული საგნები შერჩეულ იქნა პრევენციული კუთხით, თუმცა მოსწავლეს საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დაენიშნოს დამატებითი მეცადინეობა მშობელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეებსა და მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში არსებული მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის პრიორიტეტულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ხელმისაწვდომობა მოსწავლისთვის. მოსწავლეები პედაგოგებისგან რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება თუ რა პროგრესი განიცადა მოსწავლემ. **ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას მაგ: სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამოცდების ჩატარების წესებისა და პირობების შესახებ (მაგ: სემესტრული, წლიური). გონივრული ვადებია განსაზღვრული მაგ: მე-5 კლასში მეორე უცხოური ენის არჩევისას. ასევე არჩევითი საგნების არჩევისას და სხვ. **ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა არაფორმალური განათლების წახალისება და ხელშეწყობა. ამ მიზნით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლაში ფუნქციონირებს საკლუბო და საწრეო მუშაობა სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის. კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლაში ფუნქციონირებს: იდიატორთა კლუბი(დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის); მკითხველთა კლუბი(საბაზო საფეხურისთვის); ,,ნორჩი ფიზიკოსები“ (საშუალო საფეხურისთვის); ,,ნორჩი ფინანსისტები“(დაწყებითი საფეხურისთვის); სამოქალაქო კლუბი(საშუალო საფეხურისთვის); კლუბი ,,კარდუ" (საშუალო საფეხური), რომელიც იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის ფარგლებში შეიქმნა. კლუბში შეხვედრების დროს მოსწავლეებს მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ასევე ეცნობოდნენ კვლევებს და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და რა მოთხოვნაა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებზე. კალიგრაფიის წრე(დაწყებითი); ხელოვნების წრე (დაწყებითი); ხალხური სიმღერის წრე (სამივე საფეხური). კლუბების შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ინიცირებულ იდეებს. იჯარის ფორმით გაცემულ სპორტულ დარბაზში სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: ,,ნერგების აქცია“; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები; მოსწავლეთა ინიციატივით სკოლა შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას, რომელიც ყოველი წლის 25 ნოემბრიდან აღინიშნება და სრულდება 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს. ამ კამპანიის მიზანი ცნობიერების ამაღლებაა გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ; გაიმართა პოეზიის საღამო; მოსწავლეებში წიგნიერების დონის ასამაღლებლად ჩატარდა ინტელექტუალური თამაში სკოლებს შორის, რომელშიც ქალაქ ბოლნისის 6 სკოლა იღებდა მონაწილეობას და სხვ.

მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით შეიქმნა ინტელექტუალური კლუბი ,,რა, სად, როდის“ საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვისაც. აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, როგორც ერთიანი დოკუმენტი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ეს პრაქტიკაში აქვს დანერგილი და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებშია ეს მექანიზმი, ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა.** სასურველია სკოლამ შექმნას ერთიანი დოკუმენტი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების

მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს (მაგ: რამდენი ინიციატივის მხარდაჭერა შეუძლია წლის განმავლობაში და რის მიხედვით იქნება გადარჩეული შემოსული წინადადებები), დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე უნდა იყოს გაწერილი პასუხისმგებელი პირები, ვადები, რესურსები და სასურველია, დაგეგმილი აქტივობები დაანონსებული იყოს სოციალური გვერდისა და ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით. **ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. ეს პროცესი ძირითადად ვერბალურად ხორციელდება და სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას გამოთქვეს მზადყოფნა შესაბამისი კითხვარების შემუშავების თაობაზე და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. ამას ემსახურება მაგ: ანონიმური გამოკითხვა ფორმულირებით: ,,მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო...“ ამასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ტიპის მოსაზრებების გაზიარება ეხმარება ადმინისტრაციას, კიდევ უფრო მეტად გაიგონ მოსწავლეთა საჭიროებები და მოლოდინები. **ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-70 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- იჯარის ხელშკრულება;
- ნებართვა იჯარის ფორმით ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ (13/09/2022; MES 7 22 0001067815);
- სკოლის სოციალური გვერდი;
- დამრიგებლის სამუშაო დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- თვითმართველობის ოქმი;
- არაფორმალური განათლების პოლიტიკა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლის პრაქტიკაში დანერგილია მოსწავლეებისათვის პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს არჩევით საგნად სკოლამ შესთავაზა მეწარმეობის საფუძვლები. მოსწავლეთა ინტერესიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან იგივე საგნის შეთავაზებას. არაფორმალური განათლებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებით სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული უნარების ხელშეწყობას. სკოლაში წარმატებით განხორციელდა ორწლიანი პროექტი ,,უნარების გაძლიერება და დასაქმების მეწარმეობის ლაბორატორია“, რომელშიც მე-9/10/11 კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებული სურვილის მიხედვით. მისი მიზანი იყო მოსწავლეებში სამეწარმეო და კარიერული დაგეგმვის უნარ-ჩვევების განვთარება. სკოლას ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი აქვს გაფორმებული ააიპ კოლეჯ ,,იკაროსთან“ (მე-8/9 კლასის მოსწავლეებისთვის), რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შეეძლოთ სკოლის ბაზაზე კულინარიის პრაქტიკული კურსის გავლა კულინარის, მზარეულის უნარ-ჩვევებს დაუფლებოდნენ. სკოლა კვლავ გეგმავს ამ მიმართულებით თანამშრომლობას. კლუბი ,,კარდუ" რომელიც იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის ფარგლებში შეიქმნა. კლუბში შეხვედრების დროს მოსწავლეებს მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ასევე ეცნობოდნენ კვლევებს და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა შრომის ბაზარზე და რა მოთხოვნაა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებზე. სადამრიგებლო საათები ითალისწინებს ასევე კარიერული დაგეგმივსა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას, რისთვისაც სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები ან ვიზიტი კონკრეტულ ლოკაციებში. კერძოდ, 112-ის თანამშრომლების ვიზიტი საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან პროფესიული ორიენტაციის მიზნით. სასკოლო თემის ჩართულობით, დამრიგებლის ორგანიზებით სკოლას სტუმრობდნენ სხვადასხვა პროფესიის(ჯარისკაცი, ექიმი, ექთანი, სპორტსმენი და პოლიციელი) მშობლები საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან/მიაწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობენ მრავალფეროვან პროექტებსა და საკლუბო მუშაობას. ეს ხორციელდება როგორც სკოლაში, ასევე სკოლის სოციალურ გვერდზეც. **ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პროექტებში მონაწილე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე შექმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს შესაძლებლობების კვლევას. მოამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, რა დადებითი გავლენა მოახდინა მათ შვილებზე აღნიშნულ პროექტში ჩართვამ. მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაგეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს. **ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაფორმებული მემორანდუმები;
- ფეისბუქ გვერდი;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. 1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლა ასევე იყენებს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობისთვის „სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმით“ გათვალისწინებულ რეგულაციებს(მუხლი 5).

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია მოიცავს წესებსა და პროცედურებს შემდეგი მიმართულებებით: სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება; სსსმ სტატუსის მინიჭება; სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება; ინკლუზიურ

განათლებაში ჩართული სპეციალისტის მომსახურება; სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება-ჩართულობა; შიდა მონიტორინგი; სამოქმედო გეგმა.

სკოლაში ფიზიკური გარემო ადაპტირებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის რესურსოთახი, რომელშიც განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, მათ შორის სპეციალური მასწავლებელების მიერ შექმნილებიც. მოსწავლე იღებს საგნის მასწავლებელის, სპეციალური მასწავლებელის/ასისტენტის, ექთნის მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში ხდება საგნობრივი მასალის ადაპტირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 13 სსსმ მოსწავლე. თითოეულ მათგანთან საგანამანათლებლო სერვისების მიღება ხორციელდება კანონმდებლობით და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის შეხვედრები ხორციელდება ინდ.გეგმის შედგენის შემდეგ მინიმუმ ერთხელ და ყოველი სემესტრის ბოლოს იგეგმება ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით სპეცმასწავლებელმა აღნიშნა, რომ რეალურად მინიმუმ ოთხჯერ ხდება ისგ ჯგუფის შეხვედრა. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ისგ გეგმის შედგენაში. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. **ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარება სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სკოლას ჰყავს სპეციალური პედაგოგები(2) და სსსმ მოსწავლის ასისტენტი. მათთან და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ხშირად სპეც.მასწავლებლისგან საგნის მასწავლებლები იღებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რაც კიდევ უფრო მეტად ეხმარებათ ინდ.გეგმით გაწერილი შედეგის მიღწევაში. როგორც სპეციალურმა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი სსსმ მოსწავლეებს ამეცადინებენ რესურსოთახში, ასევე ახდენენ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და ამის საფუძველზე უწევენ საგნის მასწავლებელებს რეკომენდაციებს(საჭიროების მიხედვით). მათ ასევე აღნიშნეს, რომ ისინი ზრუნავენ სსსმ მოსწავლეების თანაკლასელებთან პოზიტიური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე. სკოლის წარმომადგენლებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა იმისთვის, რომ მშობლებისა და მოსწავლეების ცნობიერების ასამაღლებლად გეგმავენ აქტივობებს სპეციალური მასწავლებელისა და დამრიგებლების მხარდაჭერით. **ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის N2-70 ბრძანება ,,სსიპ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ";
- სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა (მოსწავლის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით);
- პირველადი საჭიროების შეფასების კითხვარი;
- ისგ გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან მოსწავლეებს სთავაზობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" ფარგლებში ტრანსპორტირების სერვისს. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება მოსწავლეებისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან დაშორებულია არანაკლებ 2 კმ-ით. იჯარის ფორმით გაცემულ სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებს ცეკვის ფასიანი წრე. **ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" ფარგლებში ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობს სკოლის სხვადასხვა ახლომდებარე სკოლიდან 115 მოსწავლე. მონიტორინგის მიზნით სკოლას გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით. მომსახურებას ეწევა კვალიფიცირებული მძღოლი გამართული მანქანით. ცეკვის ფასიანი წრეზე მომსახურების გაწევა ხორციელდება დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, აღნიშნული რეგულირებულია სკოლასა და მეიჯარეს შორის დადებულ ხელშკრულებაში. **ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- იჯარის ხელშკრულება;
- ნებართვა იჯარის ფორმით ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ (13/09/2022 ; MES 7 22 0001067815);
- ტრანსპორტირების ტაბელის ფორმა;
- ბრძანება მოსწავლეთა გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მძღოლის პირადი საქმე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების <u>დაწყებითი საფეხურის</u>** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. ეს ჩანს სკოლის ფილოსოფიის ნაწილში, სადაც სკოლა აქცენტს აკეთებს შემდეგ მიმართულებებზე: 1) სკოლის ყველა საფეხურზე, განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება; 2) თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. თუმცა, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, ეს მკაფიოდ არ ჩანს. ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ტრადიციულად მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, თუ მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. ამიტომ მომავლისთვის გაწერილი აქვთ მეთოდოლოგიაში ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადების ინტერეს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი. ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის გაზიარება, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კათედრები ყოველწლიურად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმის განვითარებაზე. კერძოდ, პედაგოგები იკრიბებიან და განიხილავენ წინა წლის მასალებს, განვლილ თემებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ, კომპლექსურმა დავალებამ თუ რესურსმა იმუშავა კარგად, რომელს ჰქონდა ნაკლებად კარგი შედეგი და რატომ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესის ფარგლებში გამოკვეთილი დეტალები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. კერძოდ, კათედრების მიერ მოხდა იმ კომპლექსური დავალებების შეტანა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში, რაც მათ მიერ იყო განხორციელებული და მოსწავლეთა მიღწევებიც

განისაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების საფეხურის კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, STEM პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. სპორტის სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს სკოლაში გათვალისწინებული იყო სასკოლო ინტერესები, საჭიროებები და აქედან გამომდინარე იგეგმებოდა აქტივობები. შემუშავებული ახალი კურიკულუმები კიდევ მეტ შესაძლებლობას მისცემს მათ მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია და ინსტრუქცია კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმების შესახებ და გათვალისწინებული იყოს მასში სასკოლო საზოგადოების მეტი ინტერესი. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობენ კათედრების მიერ განვილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელ თუ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები, https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593 დაწყებით

საფეხურზე მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. პირველი კლასის დამრიგებლები ახდენენ მშობელთა გამოკითხვას, რაც საშუალებას იძლევა გაიცნონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. როგორც გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა გეგმავს მშობლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზებას **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593
- დაწყებითი საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივი მიმართულებები ორიენტირებული არიან კომპლექსური დავალებების სასწავლო პროცესში ინტეგრირებაზე, ჯერ კიდევ ვერ ანხორციელებენ პროცესის დაგეგმვას კომპლექსურიდან კომპლექსურამდე. თუმცა, დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებსა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას.

სკოლამ წარმოადგინა ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გაწერილია სვეტები გრძელვადიანი მიზნის სწავლების ფორმატში. აუცილებელია, რომ აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით სასწავლო წლის დაწყებამდე შეიქმნას კურიკულუმის დანართი, სადაც თითეული კომპლექსური დავალების ფარგლებში ასახული იქნება მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის ამსახველი დეტალები, მათ შორის სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი/ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მიმდინარე კურიკულუმის მიხედვით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნების-სამიზნე ცნებების ფარგლებში კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხის ფარგლებში. ამისთვის კი პირველ რიგში პედაგოგებმა უნდა მოახდინონ აღქმა გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) მნიშვნელობა და აღიქვან სასწავლო გარემოს მახასიათებლად, რისთვისაც უნდა გაეცნონ შესაბამისი დოკუმენტებს და მასზე დაყრდნობით დააკვირდნენ და განსაზღვრონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

დაწყებით საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური ბუნების დავალებები, აქტივობები, ისეა შერჩეული, ჩამოყალიბებული, რომ უნდა იწვევდეს მოსწავლეებში ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორიცაა შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა ცნება. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას. მაგალითად, პოსტერი „ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვები“, ნახატი/მაკეტი „ჩემი სახლი (ინგლ., III კლ.), პოსტერი „ჩემი ფერმა“ (ინგლ. IV კლ.), ინტერვიუ ცნობილ მსახიობთან (ინგლ. VI კლ., მენიუს შექმნა „ჯანსაღი კვება“ (გერმანული, VI კლ.) და ა.შ. მოსწავლეთა წარმოდგენილ ნამუშევრებში იგრძნობა საკითხის დამუშავების სიღრმე, ცნებების გააზრება, შემოქმედებითი პროცესების, კრიტიკული აზროვნების

გააქტიურება. მასწავლებელმა გამოიყენა შეფასების რუბრიკები (ერთი ანალიტიკური შეფასების სქემა, მეორე კი ესგ-ის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო). ყოველივე ეს იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და ასევე ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. **თუმცა მუსიკაში რამდენიმე რჩევა მიიღო სკოლამ დაწყებით საფეხურზე. კერძოდ:** 1-4 კლასები - სასწავლო წლის დაწყებამდე მითითებული უნდა იყოს სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა და წიგნის გვერდები. 1-4 კლასები - კურიკულუმებში დასამატებელია მესამე სავალდებულო თემები, საკითხები და რესურსები: 1-ელ კლასში - მესამე სავალდებულო თემა - „თამაშები მუსიკაში“. მე-2 კლასში - მეორე სავალდებულო თემა - “ბუნების მოვლენები მუსიკაში”, მე-3 კლასში -დასამატებელია მესამე თემა - “ჩემი ცხოვრების ერთი დღე”. მე-4 კლასში - მე-2 სავალდებულო თემა „მუსიკა და თავისუფალი დრო“. მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში დასამატებელია მეოთხე სავალდებულო თემები, საკითხები და რესურსები: მე-5 კლასში - მე-4 თემა მუსიკა დრამატულ და პანტომიმის თეატრში; მე-6 კლასში - პირველი თემა - რეალობა და ჩვენი წარმოდგენები. **ხელოვნებაში** 1-6 კლასების კურიკულუმებში სამიზნე ცნებები ყოველ თემაში უნდა დაინომროს თავიდან (არ უნდა გაგრძელდეს ნუმერაცია წინა თემებიდან); 1-6 კლასების კურიკულუმებში თითოეულ თემატურ ბლოკში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. მე-3 კლასის კურიკულუმის მე-5 თემის რესურსებში საკვანძო შეკითხვა ამოსაღებია; **მათემატიკა (დაწყებითი)** სასურველია ჩანდეს V-VI კლასის კურიკულუმებში რომელი ავტორის წიგნით ხელმძღვანელობენ და რესურსების ველში შეტანილ იქნას სახელმძღვანელოს დასახელება. სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის სასურველია ელექტრონული რესურსების დამატებაც.

როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა მასწავლებლებს აქვთ მზაობა, გაუმჯობესებული ფორმით წარმოადგინონ აღნიშნული კლასების კურიკულუმები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის განხორციელებას. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეო, პოსტერი, PPT პრეზენტაცია). სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს

შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ექსპერტთა მიერ ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლმა მიიღო **რჩევა**, რომ დასამატებელია სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. კათედრების მიერ შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და პროექტის მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. როგორც იკვეთება, სასკოლო საზოგადოებასთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელთან დაკავშირებით, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სკოლა ახალ სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელზე დარჩება. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-5 კლასის მეორე სემესტრში დასამუშავებელი ერთ-ერთი თემისთვის. რუბრიკა ეფუძნება დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სტანდარტს, სტანდარტში გაწერილ ინდიკატორებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, რომ მე-6 კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ისინი ჩაშენებულია მათ მიერ კურიკულუმების ბოლოს წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში. (I-IV კლ). წარმოდგენილი რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი, რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კომპლექსური დავალების შეფასებისთვის განმავითარებელი შეფასების სახით ისინი იყენებდნენ SOLO ტაქსონომიას, რომლითაც ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების შექმნას თითოეული თემის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს. მათემატიკის კათედრამ ექსპერტთა მიერ მიიღო **რჩევა,** სასურველია დაამატონ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მათი რაოდენობა ემთხვეოდეს გასავლელი თემების რაოდენობას ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით აისახა ცვლილებები, თუმცა აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის

შემუშავება/განხორციელება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. ეს სკოლას აღნიშნული აქვს კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც. სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოება თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, დაგეგმვის დროს ისინი იკრიბებიან და მსჯელობენ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ უფრო კარგი შედეგები აჩვენა ბავშვებში, რომელმა ნაკლები და ცდილობენ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნან/განაახლონ ახალი კურიკულუმები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით წარმოდგენილ კურუკულუმებში დოკუმენტალურად არ ჩანს რა ცვლილება განხორციელდა მასწავლებლების მიერ წინა საწავლო წელთან შედარებით, მაგრამ ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს. ასევე კურუკულუმებში აპირებენ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გათვალისწინებას და კომპლექსური დავალების პროდუქტის გამრავალფეროვნებას.
სკოლამ წარმოადგინა 2021-2022, 2022-2023 წლის საგნობრივი კურიკულუმები და ახალი კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წელი. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები/რეფლექსიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფარგლებში შეთავაზებული კომპლექსური დავალებებიც** საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან

ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟები, ბიბლიოთეკის საინტერესო კლასგარეშე საკითხავი ბუნებისმეტყველების კუთხით, მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. არსებული რესურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად **სახელმწიფო ენაში** წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტები, კლუბი ,,მწიგნობარი", კალიგრაფიის წრე ,,ხელის ჩუქურთმა" მნიშვნელოვანი დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხის წარმოსაჩენად. **უცხოური ენის** კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. ამის ნიმუშია, მაგ: რუსულ და გერმანულ ენებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალება „ჩემი ან ჩემი მეგობრის პორტრეტი", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან პოსტერს; ასევე აღსანიშნავია კომპლექსური დავალება ჯანსაღი კვების შესახებ როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ და გერმანულ ენებში. ასევე პოსტერი ჩემი ფერმა" (ინგლ. IV.). **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით სკოლაში სასწავლო პროცესი იძელვა მოწავლის აქტიურ შემოქმდებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. **სპორტში** წარმოდგენილი კურიკულუმებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. დაგეგმილი თემები, საკითხები გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე მოსწავლები ხშირად თავისივე ინიციციატივით ქმნიან პროდუქტს მათი საყვარელი სპორტის სახეობისა თუ სპორტსმენების შესახებ, რაც მათ შინაგან მოტივაციის ამაღლებას განაპირობებს. კომპლექსური დავალებები კიდევ მეტად შეუწყობს ხელს შემოქმედობითობას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობით. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის დანართების ნიმუშების მიხედვით შექმნილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ეტაპობრივად მუშავდება. მოითხოვს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კონსტრუქტივისტული ინსტრუმენტის დონეზე. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებისა და პროექტების მიხედვით, პედაგოგები ხელს უწყობენ აღნიშნულ პროცესს. თუმცა იმისთვის, რომ კონსტრუქტივიზმის პრინციპის მიხედვით სკოლის/კათედრის კონცეპტუალური ხედვა საგნობრივ დონეზე მკაფიო და გაზომვადი იყოს, უცილებელია კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის დონეზე მისი გაწერა და საგნობრივ შინაარსში ინტეგრირება. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ

მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას, საწრეო მუშაობებში მონაწილეობისას. საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითი STEM კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გაიმართა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნას გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი **ქართული ენის** გაკვეთილების გეგმებიდან, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმიდან ჩანს, როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლები ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **მათემატიკაში** საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ მატრიცებსა და კომპლექსური დავალების ბარათებში. ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რაც დასტურდება მატრიცების ბოლოში ჩაშენებული დამხმარე რუბრიკით, კითხვებით, რომელიც შედგენილია პოლიას მეთოდით. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ხაზგასმულია, რომ სკოლაში ფსიქო-სოციალური გარემო არის პოზიტიური და იძლევა საშუალებას მოსწავლეს არ ჰქონდეს შეცდომის დაშვების შიში. მას შეუძლია გაანალიზოს საკუთარი გამოცდილება და დასახოს სამომავლო ნაბიჯები. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობებით ამოიცნობა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის **პროცედურულ ცოდნად** და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მისი ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში **პირობისეულ ცოდნად** აყალიბებს. **მათემატიკის** კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტობრივად პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლ. დავალების პირობიდან გამომდინარე). ასე, რომ სასწავლო პროცესი ხელს

უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით (აღიწერა ინტერვიუს დროს), ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით. მაგ: დაწყებითი საფეხურის **უცხოური ენის** კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგ: ზემოთ აღნიშნული კომპლექსური დავალებების „ჩემი ან ჩემი მეგობრის პორტრეტი“, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალებების: „ჩემი სასკოლო ნივთები“ ან „ჯანსაღი კვების მენიუს შედგენა“ (ინგლ. და გერმანული ენები) განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** პედაგოგებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე საგანმანათლებლო რესურსები, ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. რესურსებად მითითებულია მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი თვალსაჩინოებები(ფოტომასალიდან), დამხმარე რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილებიც ამ პროცესების ხელშემწყობია. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებაში. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განახორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. დაწყებით საფეხურზე შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, საგანში ჩვენი საქართველო არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუში აღნიშნეს მასწავლებლებმა და სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც ვკითხულობთ, რომ ახალი კურიკულუმები უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის ლოკოგიკურ კავშირს. საგან ,,მე და საზოგადოებაში“ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება და მასზე დაყრდნობით ქვეცნებათა იერარქია, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ თემის ფარგლებში მოახდინოს მოსწავლემ ცოდნის განზოგადება და მისი მკვიდრ წარმოდგენებში ასახვა. ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი. როგორც დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და

მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად. აღნიშნული დასტურდება კომპლექსური დავალებებით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, კურიკულუმებით, კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითარება, ტოლერანტული კულტურის განვითარება. სკოლის ხედვიდან ცხადი ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები და თავად სასწავლო პროცესი თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ და პიროვნულ განვითარებას ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების თემები, ლიტერატურული ნაწარმოებები, აგრეთვე, არაფორმალურ განათლებაში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. მაგ: სკოლაში მოქმედი კლუბი ,,მწიგნობარი“ და მის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ენის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. დოკუმენტაციის გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელ შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას.

გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება, შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მაგ: მათემატიკის ერთ-ერთმა პედაგოგმა ფაქტიურად თვითრეფლექსია წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, შესაბამისად მათემატიკაში, ისევე როგორც დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლები ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თავად ქმნიან განმავითარებელ/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს (განმსაზღვრელ შეფასებებს მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან). შეფასების მექანიზმი მათ გააზრებული აქვთ, როგორც მოსწავლის განვითარების მექანიზმი. მუსიკასა და ხელოვნებაში არ ჩატარებულა სადიაგნოსტიკო შეფასება სკოლის დონეზე, თუმცა მომდევნო სასწავლო წლიდან ესთეტიკის კათედრა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასებების ჩატარებას მუსიკაში სასწავლო წლის ბოლოს, ხელოვნებაში კი სემესტრში ერთხელ პირველი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით. ამრიგად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების(V-VIკლ.) სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების, ექსპერიმენტების ჩატარებზე. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ბიოლოგიის და ფიზიკის მიხედვით, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა** მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების (ტესტის) და სასწავლო პროექტის მიხედვით. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ისტორიაში და მოქალაქეობის მიხედვით, სადაც აქცენტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. პედაგოგებს აქვთ გააზრებული რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს ნაწილობრივ გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ასევე მშობლის ბარათები, სადაც

შეფასების რუბრიკებიცაა ჩაშენებული. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს შეფასების რუბრიკების დახვეწას. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე თემების მიხედვით შემუშავებული შეფასების რუბრიკები გათვლილი იქნება მოსწავლეთა ცოდნის დონეზე და გაზიარებული მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტება არის და იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლაში ვერიფიკაციისთვის ამ ეტაპზე გამოიყენება პროექტი „შეფასება განვითარებისთვის“ მე-4 და მე-6 კლასებში. რადგანაც სკოლა აცნობიერებს ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობას მომავალი სასწავლო წლიდან დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. ამრიგად, სკოლაში სუსტად ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკტორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატარებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში. ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ის ფაქტი, რომ მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, დადებითად უნდა აისახოს მოსწავლე მასწავლებლის ურთიერთობებზე. სასკოლო კურიკულუმები იქმნება ურთიერთთანამშრომლობით საგნობრივ კათედრებზე. სკოლის შინაგანაწესში მუხლი 11-ში მოცემულია „მოსწავლის წახალისების წესები და გამოყენების წესი“, კერძოდ „დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. ის მოცემულობა, რომ სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული საინტერესო კომპლექსური დავალებები, დადებითად უნდა მოქმედებდეს სასკოლო გარემოზე. სადამრიგებლო პროგრამები დატვირთულია ისეთი თემატიკით, როგორიცაა ადამიანის პიროვნული განვითარება, კონფლიქტების მართვა.

სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ შორის ხშირად იმართება პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა

და საჭიროების შემთხვევაში ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზადყოფნას ურთიერთდახმარებისთვის. სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. მაგ: საგანში „მე და საზოგადოება“, მე-3 კლასში წარმოდგენილია გაკვეთილის შეფასების ფორმა, სადაც იკვეთება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა. ამრიგად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებას, რითაც უვითარებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მასწავლებლის როლის შესახებ წერია: „მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში.“ ე.ი. დოკუმენტაციაც „ავალდებულებს/მოუწოდებს“ მასწავლებელს თანამშრომლობისკენ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები მშობლებთან ურთიერთობების შესახებ, მაგალითად: „დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ)“, სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვა დამკვიდრება წარმოადგენს. იხილეთ სოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593. ამრიგად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათედრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და

ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში. კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს.
სხვადასხვა კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კათედრებზე მუშაობა ორგანიზებულად, რეალური გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისიწინებით ხორციელდება, რადგან მიმდინარე კურიკულუმის დანართების, შეფასების რუბრიკებისა და სასწავლო პროექტების შექმნაში ჩართულია უკლებლივ ყველა პედაგოგი. კათედრაზე არის მაღალი თანამშროლობრივი გარემო. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სხვ. დამკვირდება წარმოადგენს. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სადაც აღწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულები არიან როგორც მასწავლებლები ასევე დირექცია,, რაც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს მომავალ სასწავლო წელს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სასკოლო კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრების ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“. იგი მოიცავს პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი, განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, რომელშიც დაზუსტებულია ყველა ჩართული პირის ფუნქცია, განსაზღვრულია კურიკულუმის დანერგვის მექანიზმები, ასევე ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლის დირექციის განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება

შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედეგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა ერთმანეთის მიერ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. სკოლას აქვს ხარისხის მართვის ჯგუფი და გაწერილი დებულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ კვლევებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: "მოსწავლის ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მაღალი მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესიც აქეთკენ არის მიმართული. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით ვიყენებთ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას. თითოეული საფეხური წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს." აღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევების გამოცდილება,

სადაც იკვეთება, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც ასახავს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას მოსწავლეთა შეფასებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. ინდიკატორი **2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება გახორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა ახლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის

განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ინდიკატორი **2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუში;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საბაზო</u> საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. ეს ჩანს სკოლის ფილოსოფიის ნაწილში, სადაც სკოლა აქცენტს აკეთებს შემდეგ მიმართულებებზე: 1) სკოლის ყველა საფეხურზე, განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება; 2) თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. თუმცა, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, ეს მკაფიოდ არ ჩანს. ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავს გამოიყენოს ის ინსტრუმენტები, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა პედაგოგი. ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის გაზიარება, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კათედრები ყოველწლიურად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმის განვითარებაზე. კერძოდ, პედაგოგები იკრიბებიან და განიხილავენ წინა წლის მასალებს, განვლილ თემებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ, კომპლექსურმა დავალებამ თუ რესურსმა იმუშავა კარგად, რომელს ჰქონდა ნაკლებად კარგი შედეგი და რატომ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესის ფარგლებში გამოკვეთილი დეტალები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. კერძოდ, კათედრების მიერ მოხდა იმ კომპლექსური დავალებების შეტანა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში, რაც მათ მიერ იყო განხორციელებული და მოსწავლეთა მიღწევებიც

განისაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების საფეხურის კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს სკოლაში გათვალისწინებული იყო სასკოლო ინტერესები, საჭიროებები და აქედან გამომდინარე იგეგმებოდა აქტივობები. შემუშავებული ახალი კურიკულუმები კიდევ მეტ შესაძლებლობას მისცემს მათ მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია და ინსტრუქცია კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმების შესახებ და გათვალისწინებული იყოს მასში სასკოლო საზოგადოების მეტი ინტერესი. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობენ კათედრების მიერ განვილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელ თუ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები, https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593 . როგორც

გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებემა აღნიშნეს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა გეგმავს მშობლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზებას **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593
- საბაზო საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კათედრების მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც ერთი ან ორი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტმაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თუმცა ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. სახელმწიფო ენის კათედრის წევრები ინტერვიუში აცხადებენ, რომ კათედრაზე კონკრეტულმა მასწავლებლებმა საკუთარი გამოცდილებისა და მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე შექმნეს კურიკულუმები. ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ აქტიურ თანამშრომლობას. **მათემატიკის საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები: მატრიცებს, რომელსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავბული კითხვები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. ინტერვიუდან გაირკვა, რომ ისინი ამ მეთოდს იცნობენ და იყენებენ. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ** წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული VII-IX კლასების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის, უცხოური ენების, ესთეტიკური აღზრდის მიმართულების საგნებში შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით

გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა (სახელმწიფო ენა).

უცხოურ ენებში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მაგალითად, პრეზენტაცია **„გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ (ინგლ. VII კლ.),** კომპლექსური დავალებები ძალადობასთან და ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით ინგლისურ და გერმანულ ენებში, სარეკლამო განცხადების მომზადება ტურისტების მოსაზიდად, რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის (გერმანული ენა) და სხვ. სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხების საშუალებით **საბუნებისმეტყველო საგნებში** (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რისთვისაც მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია. ისტორიის მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება, რაზეც მეტყველებს სკოლის მიერ მოწოდებული მატრიცები და მოსწავლეთა ნამუშევრები. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა, რომ მათემატიკაში დაემატოს ფუნქიის გრაფიკების და გეომეტრიული ნაწილის სწავლისას Geogebra-ს და სხვა პლატფორმის რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კათედრების მიერ წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, დავალებებში, მატრიცებსა და სასწავლო პროექტებში იკვეთება დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. სახელმწიფო ენის კათედრის წევრები ინტერვიუში საუბრობენ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდზე: ,,სასწავლო მენიუზე". 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, წარმოდგენილია ისგ-ები, მოდიფიცირებული რესურსები, მასწავლებლები ინტერვიუში გამოხატავენ მზაობას, შეადგინონ ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთათვის მისაწოდებელი და განსახორციელებელი აქტივობები და პროექტები. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში გეგმავს მეტად უზრუნველყოს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვა სასწავლო პროცესში. მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. სკოლას წამოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაც. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ კათედრებს აქვთ ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მაგ: მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად. რუბრიკა ეფუძნება საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტს და მასში გაწერილ ინდიკატორებს. სკოლას აქვს მზაობა, შექმნას ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ: ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ,რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გარდა ამისა, ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების რუბრიკებში რომელიც წარმოდგენილია მაგ: ქიმიასა და ბიოლოგიაში მოცემულია კრიტერიუმები რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. შესაბამისად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით აისახა ცვლილებები, თუმცა აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. ეს სკოლას აღნიშნული აქვს კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში. სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოება თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, დაგეგმვის დროს ისინი იკრიბებიან და მსჯელობენ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აჩვენა უფრო კარგი შედეგები ბავშვებში, რომელმა ნაკლები და ცდილობენ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნან/განაახლონ ახალი კურიკულუმები(უცხოური ენები). სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 წლის საგნობრივი კურიკულუმები და ახალი კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წელი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში დოკუმენტალურად არ ჩანს რა ცვლილება განხორციელდა მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წელთან შედარებით, მაგრამ მათთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო, წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს კურიკულუმებში აპირებენ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გათვალისწინებას და კომპლექსური დავალების პროდუქტის გამრავალფეროვნებას. ასევე გაითვალისწინებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში ცვლილებების შესატანად. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- თემატური მატრიცები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების აღწერილობა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, წარმოდგენილი მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რეფლექსიები, აგრეთვე, მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო თუ საგნობრივ პროექტებში, მონაწილეობა კლუბ ,,მწიგნობარში" გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მათემატიკის კათედრამ ამის დასტურად წარმოადგინა კურიკულუმი, კომპლექსური დავალების ბარათები, ხოლო ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე. ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ.რესურსი და ასახონ ისინი კურიკულუმში რესურსების ველში. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. საბაზო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. ამის ნიმუშია, მაგალითად, ესეს მომზადება „ადამიანის ხუთი გრძნობა", სტატია მშობლიური და უცხო ქვეყნების ფესტივალებზე/დღესასწაულებზე, რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის, ესე „რობოტი მასწავლებლის დადებითი და უარყოფითი მხარეები" (ინგლ. ენა) და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებისა და სასკოლო პროექტების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით; ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მიუთითებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ასევე მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის გამოყენებულია თანამშრომლობით სწავლის ფორმა (ჯგუფური და წყვილებში მუშაობა), სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერაქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მაგ: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე IX კლასში მოსწავლეებმა შეასრულეს კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობდა XX საუკუნის რომელიმე მხატვრული სტილის ფორმატში ერთი ნამუშევრის შექმნას.

აღსანიშნავია, მოცემული დავალების შესრულებში აქტიურად იყო ჩართული სსსმ მოსწავლეც. სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის დანართების ნიმუშების მიხედვით შექმნილი კომპლექსური დავალებები, რომელიც ეტაპობრივად მუშავდება, მოითხოვს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კონსტრუქტივისტული ინსტრუმენტის დონეზე. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და პროექტების მიხედვით, პედაგოგები ხელს უწყობენ აღნიშნულ პროცესს. თუმცა იმისთვის, რომ კონსტრუქტივიზმის პრინციპის მიხედვით სკოლის/კათედრის კონცეპტუალური ხედვა საგნობრივ დონეზე მკაფიო და გაზომვადი იყოს, უცილებელია კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის დონეზე მისი გაწერა და საგნობრივ შინაარსში ინტეგრირება. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. როგორც ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელება. ასე ხდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურება და ესგ-ს შედეგების მიღწევა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნას გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი. ამ ეტაპზე მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოში პირდაპირ არ ჩანს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მიმდინარე აქტიური თანამშრომლობა, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა და კურიკულუმში რამდენეიმე კომპლექსურის იდეაში ჩანს, რომ საგნობრივ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მოსწავლეები ისწავლიან მოდელების, კომიქსების, ბუკლეტების შექმნას და შეძენილი ცოდნის სხვა საგნებსა თუ ცხოვრებაში გამოყენებას. მაგრამ იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება

ცოდნის აგების პრინციპი. მასწავლებლები ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მათემატიკაში საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ მატრიცებსა და კომპლექსური დავალების ბარათებში. ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რაც დასტურდება მატრიცების ბოლოში ჩაშენებულ დამხმარე რუბრიკით, კითხვებით, რომელიც შედგენილია პოლიას მეთოდით. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ხაზგასმულია, რომ სკოლაში ფსიქო-სოციალური გარემო არის პოზიტიური და იძლევა საშუალებას მოსწავლეს არ ჰქონდეს შეცდომის დაშვების შიში. მას შეუძლია გაანალიზოს საკუთარი გამოცდილება და დასახოს სამომავლო ნაბიჯები. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
სკოლა ეროვნულ სასაწავლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობებით ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის <u>პროცედურულ ცოდნად</u> და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში <u>პირობისეულ ცოდნად</u> აყალიბებს. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტობრივად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლ. დავალების პირობიდან გამომდინარე). ასე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით (აღიწერა ინტერვიუს დროს), ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით. საბაზო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგალითად, კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. რესურსებად მითითებულია მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. აგრეთვე, საკლასო ოთახებში წარმოდგენილი თვალსაჩინოებები (ფოტომასალიდან), დამხმარე რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილებიც ამ პროცესების ხელშემწყობია. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განახორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, საგანში მოქალაქეობა არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუში აღნიშნეს მასწავლებლებმა და სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც ვკითხულობთ, რომ ახალი კურიკულუმები უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის ლოკოგიკურ კავშირს. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, სადაც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. მაგ: მე-8 კლასში მუსიკის საგანში სამიზნე ცნებები მუშავდება სამ განსხვავებულ საკითხში: „სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში, ხილულისა და უხილავის გადმოცემაში", „პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი დარგი", „მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები". ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;

- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საბაზო საფეხურის ყველა კათედრის მიმართულებით დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს

დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით, გამოყენებული რესურსებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. კურიკულუმებს დანართად ახლავს კომპლექსური დავალების ბარათები, სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საბაზო საფეხურზე მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და ციფრული უნარების განვითარება, ტოლერანტული კულტურის განვითარება. განხორციელებული პროექტები და აქტივობები (ემოციური ინტელექტის განვითარება, ჰარმონია კონფლიქტების ნაცვლად, ციფრული სკოლა). სკოლის ხედვიდან ცხადი ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ და პიროვნულ განვითარებას ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების თემები, ლიტერატურული ნაწარმოებები, აგრეთვე, არაფორმალურ განათლებაში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. სკოლაში მოქმედი კლუბი ,,მწიგნობარი“ და მის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები(სახელმწიფო ენა). საბაზო საფეხურზე კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის

წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალური ყველა გარემოება. საბაზო საფეხურზე **ყველა კათედრის** მიერ წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაგვარწმუნა იმაში, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო დეტალიზებული შეფასების რუბრიკების შექმნას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ მოწოდებული მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, რომლებშიც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია ასევე საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; ასევე მშობლის ბარათები, სადაც შეფასების რუბრიკებიცაა ჩაშენებული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასა და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმი. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აცნობიერებს ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობას და მომდევნო სასწავლო წლისათვის დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი და მოხდება საერთოდ ვერიფიკაციის სისტემის სრულყოფა. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორს სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატარებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემის/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ის ფაქტი, რომ მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, დადებითად უნდა აისახოს მოსწავლე მასწავლებლის ურთიერთობებზე. სასკოლო კურიკულუმები იქმნება ურთიერთთანამშრომლობით საგნობრივ კათედრებზე. სკოლის შინაგანაწესში მუხლი 11-ში მოცემულია „მოსწავლის წახალისების წესები და გამოყენების წესი“, კერძოდ „დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სკოლის სოციალურ ქსელში შესაძლებელია მოსწავლის წარმატების შესახებ ინფორმაციის მიღება https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593 . ის მოცემულობა, რომ სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული საინტერესო კომპლექსური დავალებები, დადებითად უნდა მოქმედებდეს სასკოლო გარემოზე. სადამრიგებლო პროგრამები დატვირთულია ისეთი თემატიკით, როგორიცაა ადამიანის პიროვნული განვითარება, კონფლიქტების მართვა და სხვ. ამრიგად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას; წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-2024 წლის სასკოლო

სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება წარმოადგენს. იხილეთ სოციალურ ქსელში აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათედრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, ხოლო სკოლის დონეზე პროექტებით, კლუბური მუშაობითა და აქტივობებით, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 წლის სასკოლო საასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები,

აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია" მოიცავს პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი. იგი განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, რომელშიც დაზუსტებულია ყველა ჩართული პირის ფუნქცია, განსაზღვრულია კურიკულუმის დანერგვის მექანიზმები, ასევე ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლის დირექციის განმარტებით, გაგრძელდება მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და გაწერილია შესაბამისი დებულება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი" ვკითხულობთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც მიიჩნევს პრობლემის გადაჭრის გზად. სახელმწიფო კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს ხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა

წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწვების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდკიატორი 4. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს

მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში. ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; **ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საბაზო/საშუალო კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გაანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს, განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ კუთხით. მაგრამ სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით, USAID საბაზისო განათლების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ამსახველი

მასალებით (ოქმები, გაკვეთილებზე დაკვირვება, შეხვედრები, პორტალ chemiskola.ge-ზე ატვირთული მასალებისა და სასწავლო რესურსების გამოყენება) და ა.შ. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კათედრების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საშუალო საფეხურის</u> ზოგადასაგამანამათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. ეს ჩანს სკოლის ფილოსოფიის ნაწილში, სადაც სკოლა აქცენტს აკეთებს შემდეგ მიმართულებებზე: 1) სკოლის ყველა საფეხურზე, განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება; 2) თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. 3) პროფორიენტაციის მიზნით მემორანდუმების გაფორმება შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან. თუმცა, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, ეს მკაფიოდ არ ჩანს. ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს მეთოდოლოგიის იმ ინსტრუმენტების შემუშავებას, რითაც მეტი სიზუსტით დაადგენენ სასკოლო საზოგადების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის გაზიარება, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კათედრები ყოველწლიურად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმის განვითარებაზე. კერძოდ, პედაგოგები იკრიბებიან და განიხილავენ წინა წლის მასალებს, განვლილ თემებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ, კომპლექსურმა დავალებამ თუ რესურსმა იმუშავა კარგად, რომელს ჰქონდა ნაკლებად კარგი შედეგი და რატომ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ იმ კომლექსურ დავალებებს, რომლებმაც სათანადო შედეგი ვერ მოიტანა კლასისთვის და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესში გამოკვეთილი დეტალები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. კერძოდ, კათედრების მიერ მოხდა იმ კომპლექსური დავალებების შეტანა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში, რაც მათ მიერ იყო განხორციელებული და მოსწავლეთა მიღწევებიც განისაზღვრა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმზე მუშაობისას უპირველესად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების ასახვას საფეხურის პროგრამების კურიკულუმში; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესის კურიკულუმში ასახვას. ასევე, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობს კათედრების მიერ განვლილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში. აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მოქმედი სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის პროექტები, აქტივობები, https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593 მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. დამრიგებლები ახდენენ მშობელთა გამოკითხვას, რაც საშუალებას იძლევა გაიცნონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. მაგ: სკოლაში განხორციელებული სპორტული ღონისძიებები სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში ჩაშენებული და განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, ფესტივალს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ სოციალური ქსელისა და მშობელთა კრებების საშუალებით. როგორც გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებემა აღნიშნეს, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა გეგმავს მშობლებთან მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზებას. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი დანართის სახით;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593
- კომპლექსური ბუნების დავალებების ბარათები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საშუალო საფეხურის საგნების: ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლების პროცესში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობა გაგრძელდება და დაიხვეწება სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის თითშეფასების ფორმაში ხაზგასმულია, რომ მომდევნო სასწავლო წელს დიაგნოსტიკური დავალებების ანალიზის საფუძველზე მოხდება კურუკულუმში ცვლილებების შეტანა. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია სამი საგნის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის X კლასის ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები. მათში ესგ სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია თემები, მითითებულია შესაბამის საკითხთა კლასტერები, მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, ძირითადი და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. რაც შეეხება XI, XII კლასების საგნობრივ კურიკულუმებს ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათზე მუშაობენ ახალი პროგრამების მიხედვით და მომავალი სასწავლო წლისათვის ექნებათ მზად. ხელოვნების პროექტების გეგმის შემუშავების

მეთოდოლოგია მოიცავს მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და ტიპიური საჭიროებების დადგენას, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. პროექტების თემად არჩეულ იქნა "ჩემი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა" (პირველი სემესტრი) და „ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება" (მეორე სემესტრი). პროექტის თემების შერჩევა მოხდა მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასებები. პროექტებზე მუშაობისას პედაგოგები ეყრდნობოდნენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს. შესაბამისად, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურის წლიური კურიკულუმები (X და XII) დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. თუმცა საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლამ მიიღო რჩევა: სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის სასურველია ელექტრონული რესურსების დამატებაც (მაგ: დაემატოს ფუნქიის გრაფკების და გეომეტრიული ნაწილის სწავლისას geogebra-ს და სხვა პლატფორმის რესურსები, ეს რესურსი უფასოა და ყველასთვის ხელმისაწვდომი).

სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით, სადაც გაწერილია მკვიდრი წარმოდგენებიც. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. საშუალო საფეხურზე, მაგ: უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მაგალითად, ინგლისურ ენაში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები ინტერვიუ (გასაუბრება) სკოლის ადმინისტრაციასა და განმცხადებელ აპლიკანტს შორის, რომელსაც სურს სტიპენდიის მიღება უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, მოგზაურობა XVI საუკუნის ინგლისში (დროის მანქანით), ესე სკოლაში მობილური ტელეფონის ტარების შესახებ, ასევე გერმანულ ენაში - დღიური წარსულში მომხდარ ყველაზე სასიამოვნო ამბავზე, ვიდეორგოლი საკუთარ თავზე წამყვანის პოზიციის დასაკავებლად კონკურსისთვის და ა.შ. საზოგადოებრივი მეცნიერებების - ისტორიის X, XII და გეოგრაფიის X კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები. შესაბამისად, კურიკულუმები მიემართება ეროვნული

სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, დავალებებში, მატრიცებსა და სასწავლო პროექტებში იკვეთება დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. ინტერვიუში კათედრის წევრები საუბრობენ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდზე: ,,სასწავლო მენიუზე". 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, წარმოდგენილია ისგ-ები, მოდიფიცირებული რესურსები, მასწავლებლები ინტერვიუში გამოხატავენ მზაობას, შეადგინონ ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთათვის მისაწოდებელი და განსახორციელებელი აქტივობები და პროექტები. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. დიფერენცირება ხდება მასწავლელთა დაკვირვებისა და ზეპირი ინტერვიუს მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა კლუბი, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური მიდგომების დანერგვას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი. აგრეთვე, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ. მათთვის შექმნილია უსაფრთხო და ადაპტირებული გარემო. სკოლას წამოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაც. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად, ჩანს, რომ კათედრებს აქვთ ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კათედრების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საშუალო საფეხურის თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები, იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. ასევე წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ანალიზი და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეფლექსია, მიუთითებს წინარე გამოცდილების გაზიარებაზე. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც მას საშუალებას აძლევს, იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს, რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს. ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კომპლექსური დავალებები;
- თემატური მატრიცები;
- კათედრების ოქმები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- შემაჯამებელთა ანალიზები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების აღწერილობა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, წარმოდგენილი მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რეფლექსიები, აგრეთვე, მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო თუ საგნობრივ პროექტებში, მონაწილეობა კლუბ ,,მწიგნობარში" გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს: ნორჩი ფიზიკოსები; სამოქალაქო კლუბი ,,აისი"; კლუბი ,,კარდუ", რომელიც იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის ფარგლებში შეიქმნა. ინტელექტუალური კლუბი ,,ალქიმიკოსები", ეკოკლუბი, ხალხური სიმღერის წრე (სამივე საფეხური), ინგლისური ენის დრამის წრე. კლუბების შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ინიცირებულ იდეებს. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,ფინანსური წიგნიერების პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ", გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი ,,დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში"-საკვირაო სკოლა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: ,,ნერგების აქცია"; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა

სპორტული შეჯიბრებები; მოსწავლეთა ინიციატივით სკოლა შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას, რომელიც ყოველი წლის 25 ნოემბრიდან აღინიშნება და სრულდება 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს. ამ კამპანიის მიზანი ცნობიერების ამაღლებაა გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ; გაიმართა პოეზიის საღამო; მოსწავლეებში წიგნიერების დონის ასამაღლებლად ჩატარდა ინტელექტუალური თამაში სკოლებს შორის, რომელშიც ქალაქ ბოლნისის 6 სკოლა იღებდა მონაწილეობას და სხვ. აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში უფრო მეტი ელ. რესურსის გამოყენება და კურიკულუმში რესურსების ველში მათი ასახვა (მათემატიკა). ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. ამის ნიმუშია, მაგ: ესეს მომზადება „ადამიანის ხუთი გრძნობა“, სტატია მშობლიური და უცხო ქვეყნების ფესტივალებზე/დღესასწაულებზე, რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის, ესე „რობოტი მასწავლებლის დადებითი და უარყოფითი მხარეები“ (ინგლ. ენა) და ა.შ. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის გამოყენებულია თანამშრომლობითი სწავლის ფორმა (ჯგუფური და წყვილებში მუშაობა), სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (მათი ნაწილი ასახულია კიდევაც წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსების ველში) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზით (ინტერვიუს დროს ესეც დაზუსტდა, რომ კათედრას შედეგების ანალიზი აქვს და ინახება მატერიალური ფორმით სკოლაში). სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

2023-24 წლის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში კომპლექსური ბუნების დავალებები მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა; შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. ამისათვის მათ შეთავაზებული აქვთ პრობლემაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები,

როლური თამაშები. ამ სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს. მოსწავლის მიერ სწავლის პროცესის გააზრებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენისას მასწავლებლების მიერ შეთავაზებული შეფასების ინსტრუმენტები, სადაც მოსწავლე საუბრობს რა სტატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა ახლიდან რომ იწყებდეს დავალებაზე მუშაობას. კათედრებთან ინტერვიუს პროცესში მათი მხრიდან აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეიმუშონ მოსწავლეთა თვითშეფასების/რეფლექსიისა და ურთიერთშეფასების ახალი ეფექტური კრიტერიუმები, რაც თავის მხრივ უფრო მეტად იქნება სწავლის სწავლაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შექმნილი კომპლექსური ბუნების დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული საფეხურის კლასებში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებიც გათვლილია, როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მიზნის მისაღწევად საჭიროა ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს უწევს პრობლემის ანალიზი, საჭირო რესურსების მოძიება და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის გზების დასახვა. კომპლექსური დავალების ფარგლებში საბოლოო პროდუქტის შექმნაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება სხვა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების დოკუმენტითაც. მასწავლებელებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრებზე, მოსწავლეთა განვლილ გზაზე კომპლექსური დავალებებით სწავლებისას, სადაც ნათლად წარმოჩინდა კონტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინება მასწავლებლების მხრიდან. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კლასებისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების სრულ ვერსიებში გაწერილია შუალედურ სასწავლო მიზნებთან მისასვლელი ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას განაპირობებს. ხშირია არაფორმარულ გარემოში მოსწავლეთა ცოდნის გადატანა და ურთიერთდაკავშირებაც. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ეს პროცესებიც ეხმარება მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება გამოიკვეთა საშუალო საფეხურის მაგ: უცხოური ენის კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას. უცხოური ენის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად, რეპორტი ქალაქის შესახებ ტურისტებისთვის განკუთვნილ ჟურნალში, ესე სკოლაში მობილური ტელეფონის ტარებასთან დაკავშირებით, ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასა და აპლიკანტს შორის, რომელსაც სურს სტიპენდიის მიღება უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად და ა.შ. გარდა ამისა, მაგ: საგანში მოქალაქეობა არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს და სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც ვკითხულობთ, რომ ახალი კურიკულუმები უზრუნველყოფს ცოდნის

სამივე კატეგორიის ლოკოგიკურ კავშირს. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების დანერგვის და განხორციელების მზაობა აქვს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმების ჩარჩოებიდან იკვეთება ის, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სრულად შევსებული კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები, რომელთა გამოყენებით წარმართული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსური დავალებების განსახორციელებლად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ პროექტების თემატიკა, პროექტების გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გაგებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. სასწავლო პროცესი ეყრდნობა გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და სამინისტროს მასალებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საშუალო საფეხურის კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, კათედრის ოქმებში აღწერილი ანგარიში - ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მაგ: უცხოურ ენებში მოსწავლეები ვითარდებიან პიროვნულად, ამასთანავე, უვითარდებათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ხაზგასმულია, რომ მოქალაქეობის მასწავლებელმა სასკოლო პროექტი “ფინანსური წიგნიერება“ გადაიტანა საგნობრივ დავალებაში, რითაც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას შეუწყო ხელი. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროსაც და წარმოდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულებები. როგორც ესთეტიკური აღზრდის

კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათი ხმა ესმით და მნიშვნელოვანია, განხორციელბული პროექტები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, ყველაფერი ეს მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი პროექტები "ჩემი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა" (პირველი სემესტრი) და „ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება" (მეორე სემესტრი), ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პროექტების ეტაპები გაწერილია ლოგიკური თანმიმდევრობით, კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი განმავითარებელი შეფასების წარმოების აღწერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. საზოგადოებრივი მეცნირების კათედრის მასწავლებლებმა ისაუბრეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ რუბრიკებზე. მათ აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სკოლის საშუალო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში შეფასების სისტემა წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ფორმით და ორიენტირებულია მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესზე. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია პროცესზე. ამ ეტაპზე მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისას უფრო ხშირად მიმართავენ ზეპირ განმავითარებელი კომენტარს, თუმცა პროექტის ბოლოს მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი კომენტარით. განმავითარებელის შეფასების მექანიზმად სკოლას აღებული აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია. **ინდიკატორი 2.2.2.3.დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მასწავლევბლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასა და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს ნაწილობრივ გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის

მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, ზეპირად განხილული მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ასევე მშობლის ბარათი მე-10 კლასისთვის წარმოდგენილი, სადაც შეფასების რუბრიკებიცაა ჩაშენებული(მათემატიკა). **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აცნობიერებს ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობას. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის დირექტორთან, მის მოადგილეებთან და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრების ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ის ფაქტი, რომ მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, დადებითად უნდა აისახოს მოსწავლე მასწავლებლის ურთიერთობებზე. სასკოლო კურიკულუმები იქმნება ურთიერთთანამშრომლობით საგნობრივ კათედრებზე. სკოლის შინაგანაწესში მუხლი 11-ში მოცემულია „მოსწავლის წახალისების წესები და გამოყენების წესი“, კერძოდ „დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სკოლის სოციალურ ქსელში შესაძლებელია მოსწავლის წარმატების შესახებ ინფორმაციის ნახვა: https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593 ის მოცემულობა, რომ სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული საინტერესო კომპლექსური დავალებები, დადებითად უნდა მოქმედებდეს სასკოლო გარემოზე. სადამრიგებლო პროგრამები დატვირთულია ისეთი თემატიკით, როგორიცაა ადამიანის პიროვნული

განვითარება, კონფლიქტების მართვა და სხვ. ამრიგად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებისათვის, ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას; წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მიეწოდება ახალი ცოდნა, ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდება ცოდნის სამივე კატეგორია. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან ძალიან მნიშვნელოვანია. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება/განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა ასევე „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება თუ მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება წარმოადგენს. სოციალურ ქსელში ასახული აქტივობების სურათები https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593. ამრიგად, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, კათედრების სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საფუძველზეც პედაგოგები აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატისა შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო

საათებით, ხოლო სკოლის დონეზე-პროექტებით, კლუბური მუშაობითა და აქტივობებით, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 წლის სასკოლო საასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064740544593

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ მოიცავს პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი. იგი განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, რომელშიც დაზუსტებულია ყველა ჩართული პირის ფუნქცია, განსაზღვრულია კურიკულუმის დანერგვის მექანიზმები, ასევე ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლის დირექციის განმარტებით, გაგრძელდება მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის გაცნობა და სასწავლო პროცესში თანამშრომლობა. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და გაწერილია შესაბამისი დებულება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, ცალკეული აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. ეს ხდება ცალკეულ მასწავლებლებთან და აქვს სპონტანური ხასიათი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი" ვკითხულობთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც მიიჩნევს პრობლემის გადაჭრის გზად. სახელმწიფო კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს ხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის, რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწვების სრულად გაზომვა, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მაშასადამე, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები ყველა საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლა ახალ კურიკულუმში გეგმავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.2 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში. ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საშუალო კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გაანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს, განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ კუთხით. მაგრამ სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით, USAID საბაზისო განათლების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მასალებით (ოქმები, გაკვეთილებზე დაკვირვება, შეხვედრები, პორტალ chemiskola.ge-ზე ატვირთული მასალებისა და სასწავლო რესურსების გამოყენება) და ა.შ. ამრიგად, სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მყარად დააფუძნოს წინარე გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების ოქმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. თამარ კეშელავა-ზოგად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ნინო ზაქაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ია სეხნიაშვილი-სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო მოლაშხია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. გოგი ლატარია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
6. ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
7. ნანა ნოზაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ნინო კოზიაშვილი-ზოგად განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
9. თამარ თავშავაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
10. ელეონორა კაიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

Nino Molashkhia 51001010724
Digitally signed by Nino Molashkhia
Date: 2023.08.31 11:40:17

04.10.2023წ.